# ახალი განათლება

15-21.11.2018

№34 (828) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge


## ომის ბავშვებისთვის ომი არასდროს მთავრდება



*მე არ ვიცი მომავალში რას დავწერ, მაგრამ ვიტყვი, რომ „გამოსვლის წიგნი“ ჩემი ცხოვრების მთავარი წიგნია, ეს იყო ყველაზე დიდი სათქმელი, რაც ამდენი ხნის განმავლობაში თან დამქონდა და მინდოდა მეთქვა.*

*წიგნის სახელწოდება „გამოსვლის წიგნი“ სიმბოლურია – გამოსვლა აღთქმული მიწიდან, სამოთხიდან, აფხაზეთიდან... და გამოსვლა იმ ტკივილიდან, ტრაგედიიდან, კოშმარებიდან... ომის ბავშვებისთვის ომი არასდროს მთავრდება, ისინი ვერასოდეს გამოდიან ომის კოშმარიდან. ამიტომაც საკუთარი თავის შველის მცდელობაცაა, რომ ეს ამბები მოვყვე, დავხატო, გამოვთქვა. ამ წიგნით ვეცადე, ტრავმებისგან გავთავისუფლებულიყავი.*

ირაკლი კაკაბაძე

გვ. 5

## ნახევარ საუკუნეზე მეტი ქართული მეცნიერების სამსახურში




✓ *ენა არის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ადამიანის იდენტობისა, თუმცა არა ერთადერთი.*

✓ *ამბობენ, ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლა ადვილიაო. ტყუილია, ძალიან ძნელია, იმიტომ რომ, ეს გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის, არამედ ბევრი სხვა რამის ცოდნას, რაც, შეიძლება არც ერთ პროგრამაში არ წერია, მაგრამ აუცილებელია.*

✓ *არც ის განათლება ვარგა, სადაც დაკარგულია ცოცხალი კონტაქტი სტუდენტსა და ლექტორს შორის.*

მზექალა შანიძე

გვერდი 2

*სპეცპედაგოგი*

## სფეროში ვრჩები და ვცდილობ შევცვალო, რაც არ მომწონს

*ხშირად მასწავლებლებიც და საზოგადოების უმეტესობა შიშით ან სიბრალულით უყურებენ სსსმ და შშმ მოსწავლეებს, რაც ერთმნიშვნელოვნად არასწორია. არც მომეტებული მზრუნველობაა მიზანშეწონილი და არც სიბრალული – „ჩვენ დავიბადეთ ერთმანეთისგან განსხვავებულები, მაგრამ თანასწორუფლებიანები“.*

თეონა არახამია

გვერდი 3

*ეროვნული გამოცდები — 2019*

## ცვლილებები საგამოცდო ტესტებში

გვერდი 6

*პედაგოგთა დასახმარებლად*

## „მე ამას შევძლებ“ – საუკეთესო გზა წარმატებისთვის

## „MƏN BUNU BACARIRAM“ – UĞURA DOĞRU ƏN YAXŞI YOL



გვერდი 4

თსუ — 100

# ნახევარ საუკუნეზე მეტი ქართული მეცნიერების სამსახურში



მაშინ უნივერსიტეტი მხოლოდ 25 წლის დაარსებული იყო და მის კედლებში, ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ შემდგომში ლეგენდად ქცეული ადამიანები, მეცნიერები, რომლებიც ან მისი დაარსების თანამონაწილენი ან მომდევნო თაობა იყო. ბედნიერებაა მათ გვერდით სტუდენტური წლების გატარება, როცა მხოლოდ წიგნებით და ლექციებით კი არ სწავლობ, არამედ ხვდები აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, ვარლამ თოფურიას, კოტე ბაქრაძეს, გიორგი წერეთელს, ნიკო კეცხოველს, სერგი ჯიქიას... ყოველდღიურად ხედავ მათ უნივერსიტეტის დერეფნებში და თუნდაც შორიდან ესალმები... მაგრამ თუ ბედმა მათ გარემოცვაში ცხოვრებაც გარგუნა, თავიდანვე გამორჩეული ხარ. ჩემდა გასაოცრად, ქალბატონ მზექალა შანიძესთან მცირეხნიანმა სტუმრობამ სერიოზულად დამაეჭვა ჩემს ვარაუდში – არავითარი მსგავსი, იგი ძალიან ჩვეულებრივი, სადა და სასიამოვნო ადამიანია, მშვიდად, საინტერესოდ მოსაუბრე, ისეთი, როგორსაც ვგულისხმობთ სიტყვაში ინტელიგენტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წელს ჩვენმა გაზეთმა არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა. რა თქმა უნდა, აკაკი შანიძეც გავიხსენეთ და იმ თაობის სხვა მეცნიერებიც. ხშირად გამიგია, დიდი ადამიანების შვილებს მშობლების ავტორიტეტი აკომპლექსებსო. მზექალა შანიძესთან მიმართებაში ამას ნამდვილად არ იფიქრებთ, ჯერ ერთი თავად მსგავსი არაფერი ეტყობა და ამბობს კიდეც, აკაკი შანიძის შვილობით არასოდეს არავითარი პრივილეგია არ მიმიღიაო. პირიქით კი მომხდარა, რამდენჯერაც, ბატონი აკაკის სიცოცხლეში, ლაპარაკი იყო ქალბატონ მზექალას მეცნიერებათა აკადემიის წევრად წარდგენის თაობაზე, იმდენჯერ წინააღმდეგი წასულა – უხერხულიაო, „ასეთი განწყობა ჰქონდა: „უხერხულია". ერთხელ მთელი კათედრა დაასწრო შვილის გამოცდას და „ტყავი გააძრო", თუმცა იცოდა, რომ ყველა საგანს, ყოველთვის, მაღალ ნიშნებზე აბარებდა და არც ის გამოცდა იქნებოდა გამონაკლისი, ამიტომაც იღებდა სტალინურ სტიპენდიას, 750 მანეთს.

ბატონი აკაკი დიდად არ ერეოდა თურმე შვილების ცხოვრებაში, აი შვილიშვილების მიმართ კი, უკვე ასაკში შესული, მეტად გამოხატავდა სითბოს და სიყვარულს...

მოკლედ, ჩვენ ამჟამად მხოლოდ მზექალა შანიძეზე ვისაუბრებთ, მეცნიერზე, რომელიც ჩვენი თაობის სტუდენტებისთვის, სხვა რამდენიმე პროფესორთან ერთად, ჩვენს სათაყვანებელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ასოცირდება. სტუდენტი იგი თბილისის მე-15 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1943 წელს გახდა. მისი სტუდენტობის ბოლო წლებში რექტორი უკვე ნიკო კეცხოველი იყო. „ცოტათი ქართლურად უხეში (პირდაპირი), მაგრამ საქმის მოყვარული, უნივერსიტეტზე მზრუნველი და საუკეთესო მოქართულე" – ასე ახასიათებს ქალბატონი მზექალა. რატომ აირჩია ფილოლოგიის ფაკულტეტი? ჯერ ერთი, იმ დროს დიდი არჩევანიც არ არსებობდა, სულ სამი უმაღლესი სასწავლებელი იყო – თსუ, სამედიცინო და „გეპეი". მოსკოვის და ლენინგრადის უნივერსიტეტებში კი შეიძლებოდა კარგი განათლების მიღება, იქ ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, მაგრამ ომის წლებში ეს შეუძლებელი იყო. ქალბატონი მზექალა თავის არჩევანს მხოლოდ ოჯახურ ტრადიციას არ უკავშირებს და ამბობს, რომ ეს ფაქტორი მხოლოდ ნაწილობრივ იყო გადაწყვეტილების განმსაზღვრელი. მისი მთავარი ინტერესი წიგნები იყო, კითხვა უყვარდა და რაკი სკოლის გაკვეთილებს მალევე რჩებოდა (ამბობს, რომ მაშინ პროგრამები ახლანდელივით რთული არ იყო), თავისუფალ დროს ბევრს კითხულობდა. მამას ადრევე ჩაუწერია ბიბლიოთეკაში და მისი აბონემენტითაც სარგებლობდა. სხვათა შორის, ზუსტი მეცნიერებებიც აინტერესებდა, ბიოლოგობასაც კი აპირებდა. ეს ინტერესი დღემდე შემორჩა – თვალს ადევნებს ბიოლოგიის, გენეტიკის განვითარებას. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ მაინც კითხვის სიყვარულმა გადასძლია და გახდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. *„ამბობენ, ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლა ადვილიაო. ტყუილია, ძალიან ძნელია, იმიტომ რომ, ეს გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის, არამედ ბევრი სხვა რამის ცოდნას, რაც, შეიძლება არც ერთ პროგრამაში არ წერია, მაგრამ აუცილებელია".* ყოველ შემთხვევაში თავად ამ პრინციპით მიუდგა საკუთარ პროფესიას და, ალბათ, შედეგიც ამითია განპირობებული. ამბობს, რომ ენების არმცოდნე ფილოლოგი ცუდი სპეციალისტია, ამიტომ, როგორც კი აღმოსავლური ენების ჯგუფი დაარსდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სწავლა იქ გააგრძელა – არაბულს გიორგი წერეთელთან სწავლობდა. *„იმ გარემოში, სადაც მე ვტრიალებდი, ფილოლოგისთვის ენების ცოდნა ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა, აუცილებლადაც კი, არაფერი განსაკუთრებული ამაში არ იყო. როცა მამაჩემს ვინმეს შესამოწმებლად მოუყვანდნენ, პირველ რიგში ენის (ევროპული) ცოდნას უმოწმებდა, თვითონ ბევრი ენა იცოდა. მაგრამ რომ ჰკითხავდნენ, რამდენ ენას ფლობო, ხუმრობით პასუხობდა, ქართულის გარდა არც ერთი არ ვიცი ხეირიანადო. როცა ენის ცოდნაზე საუბრობენ, ჩვეულებრივ გულისხმობენ, რამდენ ენაზე ლაპარაკობს ადამიანი, ენათმეცნიერისთვის კი ეს არ არის მთავარი, – ენათმეცნიერისთვის ენის ცოდნა იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია წყაროებზე მუშაობა. ძველი ქართული ლიტერატურის დიდი წილი ნათარგმნია, ორიგინალთან შედარებისთვის ღრმა ცოდნაა საჭირო დედნის ენისა".* ჰოდა, შეისწავლა არაბული, ძველი ებრაული, სემიტური ენები, სპარსული, სომხური... და ამ ცოდნას დღემდე იყენებს მეცნიერულ საქმიანობაში. გარდა ამისა ფლობს ინგლისურს, ფრანგულს და გერმანულს. სხვა შემთხვევაში, ბუნებრივია, ვერ წაიკითხავდა ლექციებს ლონდონში, ნორვეგიაში, ბრიუსელში, 3 წლით პეტერბურგის უნივერსიტეტშიც იყო მიწვეული. *„სტუდენტობისას ძალიან გულმოდგინე მეცადინეობა იყო საჭირო. ლექსიკონები რეალურად არ არსებობდა, რუსულიც კი, რაც იყო, ისიც ე.წ. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. ჩვენ, დაუწერელი შეთანხმებით, ყოველთვის გვიშვებდნენ იქ, ვისხედით და ვმეცადინეობდით იმ სიბნელეში და სიცივეში, სანამ ბიბლიოთეკარი არ დაგვძახებდა – აბა, აღმოსავლელებო, აიკრიბეთ, ხვალაც ამ თვისააო. ძალიან შეკრული ჯგუფი იყო, სულ ერთად ვიყავით, ბევრი ძალიან კარგი სპეციალისტი გამოვიდა. სამწუხაროდ, იმ პირველი თაობიდან აღარავინაა ცოცხალი".* ამბობს, რომ ქართული ენისადმი ზოგადი ინტერესიც არსებობს და წმინდა მეცნიერულიც, ძირითადად ძველი ქართული ენა აინტერესებთ, როგორც ლინგვისტური ფენომენი. საზაფხულო სკოლაში კი, სადაც ის უცხოელებისთვის ლექციებს კითხულობს ინგლისურ ენაზე, მსმენელთა ნაწილს მეტის გაგება სურს ქართული ენის შესახებ, ნაწილმა შეიძლება საერთოდაც არ იცოდეს ენა. ამიტომ აქ სხვაგვარად უნდა აიგოს სალექციო კურსი. საერთოდ, ენის სწავლა არა მარტო მისი ძირითადი გრამატიკული ფორმების ცოდნას გულისხმობს, ძალიან მნიშვნელოვანია ლექსიკის შეთვისება. საშუალო განათლებული ადამიანი მრავალ ათას სიტყვას იცნობს, თუმცა არ იყენებს ყოველდღიურ მეტყველებაში. ეს მარაგი კითხვით მიიღწევა და არა მხოლოდ პედაგოგთან თუნდაც წლობით მიღებული გაკვეთილებით – ენა შეისწავლება კითხვით (ლექსიკის შესასწავლად) და, რა თქმა უნდა, ამ ენაზე მოლაპარაკესთან ურთიერთობით.

ენის შესახებ საუბრისას, მზექალა შანიძე თავის მოსაზრებას გვიზიარებს მის კიდევ ერთ მნიშვნელობაზეც – არის თუ არა იგი ეროვნების იდენტობის განმსაზღვრელი – *„ენა არის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ადამიანის იდენტობისა, თუმცა არა ერთადერთი"* . მაგალითად შვეიცარიას ასახელებს, სადაც 4 სახელმწიფო ენაა – გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული, მაგრამ *„აბა, გაბედე და უთხარი შვეიცარიელს, რომ ან გერმანელია, ან ფრანგი და ან იტალიელი. 700-წლიანი დამოუკიდებლობით მისი იდენტობა მყარია – იგი შვეიცარიელია. საქართველოს შემთხვევაში, ასევე, დიდ როლს თამაშობდა რელიგია, როგორც პოლიტიკური ფაქტორი. მაჰმადიანური ქვეყნებით ვიყავით გარემოცული, მოდიოდა სხვა ეროვნებისა და სხვა რჯულის მტერი. ამიტომაც ხდებოდა მართლმადიდებლობა თვითდაცვის და გადარჩენის ფაქტორი."*

მზექალა შანიძე, 1952 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგია. ამავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სემიტურ ენებში, 1974 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები". ივანე ჯავახიშვილს იმოწმებს და თავადაც მიაჩნია, რომ ბიბლია უმნიშვნელოვანესი ძეგლია არა მარტო ენობრივი, არამედ საქართველოს კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც. ჩემი გამოკვლევა წმინდა ფილოლოგიური ხასიათისააო, ამბობს. წლების განმავლობაში კითხულობდა: ძველი ებრაულის კურსს, სემიტურ ენათა ისტორიას, ბოლო რამდენიმე წელი (2006 წლამდე, ვიდრე, მისი თაობის სხვა პროფესორებთან ერთად არ გაუშვეს უნივერსიტეტიდან!) – ქართული ენის ისტორიას. ამ უკანასკნელის შესახებ ამბობს, რომ *„ძალიან რთული საგანია. ენის ისტორია შედარებით ენათმეცნიერებას ემყარება. კარგად მომზადებული უნდა იყოს სტდუნეტი, რომ გაიგოს რას ვასწავლით. ეს ენის განვითარების ისტორიაა და არა თავად ენის შესწავლა. ამ კურსის მსმენელმა ენა კარგად უნდა იცოდეს".* ლექციებს კარგა ხანია აღარ კითხულობს, მაგრამ მოღვაწეობს როგორც პროფესორი ემერიტუსი, ბევრს ეხმარება, საზაფხულო სკოლაში ლექციებს ატარებს, ტელეკომპანია „არტარეამ" მისი ლექცია ჩაწერა, რომელიც ფეისბუქზეც დაიდო; იხსენებს 1975 წელს, როცა სინას მთაზე, წლების წინ, ხანძარს გადარჩენილი ხელნაწერები (სხვადასხვა ენაზე) შემთხვევით იპოვეს იატაკზე მიმოფანტული, მათ შორის, ქართული ხელნაწერებიც აღმოჩნდა. სწორედ მათ გამო სამჯერ გაემგზავრა სინას მთაზე სამეცნიერო მივლინებით.

თანამედროვე განათლების სისტემის ავ-კარგსაც შევეხეთ. იგი რეფორმის მომხრეა, მაგრამ მის ნაკლად სისტემის განვითარების ერთიანი ხედვის, ერთიანი კონცეფციის არარსებობა მიაჩნია – უცხოური გამოცდილების გაუაზრებლად გადმოტანა, არსებული რეალობის გათვალისწინების გარეშე, რასაც სერიოზული ანალიზი სჭირდება. *„ამის მცდელობა იყო. მეც მიმიღია მონაწილეობა მსგავს დისკუსიებში, მაგრამ ჩვენში ამ მეთოდით შედეგი არ მიიღწევა. დებატების კულტურისაგან ძალიან შორს ვართ. ჭკუასაკითხავი ხალხის აზრს უნდა ვითვალისწინებდეთ, მხოლოდ მაშინ გვექნება კარგი შედეგი".* რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, შენიშვნები აქაც აქვს. მთავარი მათგან სტუდენტსა და გამომცდელს შორის კონტაქტის არარსებობა მიაჩნია. მხოლოდ შემოხაზვით ვერ დაადგენ სტუდენტის ცოდნას. *„ადრე ვარლამ თოფურია გამოცდისას არასდროს იზღუდებოდა დროით. მასთან გამოცდის ჩაბარება ნიშნავდა ერთ საათზე მეტ ხანს პასუხს. არ იფიქროთ, რომ სიმკაცრის გამო აკეთებდა ამას, არა, ძალიან რბილი ადამიანი იყო, მაგრამ მისი გამოცდა სტუდენტთან დიალოგით მიდიოდა, თუ რამე არ იცოდი, იქვე გიხსნიდა. ჩემზეც ამიტომ ამბობდნენ მკაცრიაო. მე ვიქცეოდი ისე როგორც მასწავლეს. საკმარისი არ არის სალექციო კონსპექტების დაზეპირება. ლექციაზე ყველაფრის თქმას ხომ ვერ ასწრებ. ამიტომ მივუთითებდი იმ სამეცნიერო სტატიების თუ ლიტერატურის მინიმალურ რაოდენობას, რისი ცოდნაც საჭიროდ მიმაჩნდა და გამოცდაზე სწორედ ამას ვამოწმებდი. თუ ეს სიმკაცრეა, რომ ვითხოვდი არა მარტო იმას, რასაც ვკითხულობდი, არამედ იმასაც, რასაც ვუთითებდი, დიახ, მაშინ მკაცრი ვყოფილვარ, მაგრამ ხომ ცხადია, რომ კონსპექტი ცოდნას არ იძლევა და არც ის განათლება ვარგა, სადაც დაკარგულია ცოცხალი კონტაქტი სტუდენტსა და ლექტორს შორის".*



**ანა ფირცხალაიშვილი**

სპეცპედაგოგი

# სფეროში ვრჩები და ვცდილობ შევცვალო, რაც არ მომწონს

*თეონა არახამია, სპეციალური განათლების მაგისტრი, 84-ე საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებელი, მასწავლებლის სახლის ტრენერ-კონსულტანტი ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რეგიონული სასწავლო ტურის სუპერვიზორი და სახალხო დამცველის აპარატის პროექტის – „ინკლუზიური განათლების მონიტორინგის“ სპეციალური მასწავლებელი.*



## ნაბიჯი ინკლუზიური განათლებისკენ

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქვეყანაში ინკლუზიური განათლება დაინერგა და არც მე მქონდა ვრცელი ინფორმაცია მის შესახებ. როდესაც ფილოლოგიაში ბაკალავრის ხარისხი მომანიჭეს, მონაწილეობა მივიღე პროექტში „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ჯავახეთში ქართულს ვასწავლიდი არაქართულენოვან სკოლაში. იქ იყვნენ მოსწავლეები, რომელთაც ჰქონდათ სხვადასხვა სახის სირთულეები, მაგრამ არც ამის აღიარება და არც სათანადო მიდგომების გამოყენება არ ხდებოდა. სწორედ ამის შემდეგ დავინტერესდი ინკლუზიური განათლებით. პრაქტიკულად, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯებს დგამდა ჩვენი განათლების სისტემა და გადავწყვიტე, მეც შემეტანა პატარა წვლილი ინკლუზიური განათლების შენებაში. როგორც კი თბილისში დავბრუნდი, ჩავაბარე მაგისტრატურაზე – სპეციალური განათლების მიმართულებით და პირველი კურსიდან ვმუშაობ სპეციალურ მასწავლებლად, ვცდილობ, ხელი შევუწყო საქართველოში ინკლუზიური განათლების განვითარებას.

ამჟამად მასწავლებლის სახლის ტრენერ-კონსულტანტი ვარ და ინკლუზიურ განათლებაში ვუკითხავ მასწავლებლებს ტრენინგ-მოდულს. ამავდროულად, ჩართული ვარ პროექტში „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის“ – ერთ-ერთი სუპერვიზორი ვარ. ტურის მიზანია, რეგიონში მომუშავე სპეციალურ მასწავლებელთა ვიზიტი თბილისის წარმატებული ინკლუზიური პრაქტიკის მქონე სკოლებში და მათი პრაქტიკის გაზიარება.

## ქვეყანაში სპეციალური მასწავლებლების დეფიციტია

სისტემას, უბრალოდ, არ ჰყავს საჭირო რაოდენობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, ამიტომ სხვა სპეციალობის მქონე მასწავლებლები ან ფსიქოლოგები იწყებენ მუშაობას ამ პოზიციაზე, რომლებსაც, სამწუხაროდ, გამოცდილება და შესაბამისი ცოდნა არ აქვთ. განსაკუთრებით რთულადაა საქმე რეგიონებში, რადგან იქ მომუშავე სპეცმასწავლებლების უმეტესობას ჯერ კიდევ არ აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგი, არ იციან რა პრინციპებითა და მეთოდებით იმუშაონ, მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი, წლებია, სკოლაში მუშაობს. სწორედ რეგიონული სასწავლო ტური, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, აძლევთ მათ საშუალებას, ნახონ როგორ მუშაობენ გამოცდილი და წარმატებული პრაქტიკის მქონე მასწავლებლები, რა ეტაპებს გავდივართ, როგორ ვავსებთ დოკუმენტაციას, როგორ ვახდენთ კლასში სსსმ მოსწავლეთა ინტეგრაციას და როგორ ვმუშაობთ რესურსოთახში მოსწავლის შეფასებისას ან მისი აკადემიური, კოგნიტური თუ ფუნქციური უნარების განვითარებაზე. სპეცმასწავლებლების ნაწილს თეორიული ცოდნა აქვს, მაგრამ, როცა პრაქტიკაში აჩვენებ ამ ყველაფერს, ბევრად მეტი შედეგი აქვს. თავადაც ამბობენ, რომ რეგიონულ ტურზე სულ სხვა კუთხით დაინახეს ინკლუზიური განათლება, მიხვდნენ რა არის სპეციალური მასწავლებლის, საგნის მასწავლებლის თუ დამრიგებლის ფუნქციები, კარგად გაერკვნენ, როგორ შეიძლება იმუშაონ სსსმ მოსწავლესთან. მეტიც, გეგმავდნენ, რომ ჩასვლისთანავე დაიწყებდნენ თავიანთ სკოლებში ინკლუზიური განათლების რეორგანიზებას.

## სპეციალური მასწავლებლის ერთი დღე

ჩემი ყოველი დღე ძალიან დატვირთულია – 7 საათზე ვდგები, რომ 9-ზე სკოლაში ვიყო, სადაც 10 სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლე მხვდება. ზოგიერთ მათგანს ინდივიდუალურ ასისტირებას ვუწევ, ზოგს გაკვეთილზე ვესწრები, ზოგთანაც რესურსოთახში ვმუშაობ სხვადასხვა უნარების განვითარებაზე. ვთანამშრომლობ მასწავლებლებთან და მშობლებთან – განვიხილავ მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებს ვაძლევ.

შემდეგ ერთი სკოლიდან მეორეში მივდივარ და იქაც იმავე რეჟიმში მიწევს მუშაობა.

5-6 საათისთვის ვასრულებ სკოლაში მუშაობას და შემდეგ, ხან მასწავლებლის სახლში ვარ, ხანაც სხვადასხვა პროექტის შეხვედრებზე. სახლში, ძირითადად, საღამოს 10-11 საათზე მივდივარ, რის შემდეგაც ვიწყებ მეორე დღისთვის მასალების – სავარჯიშოების, გეგმების, პრეზენტაციების, ანგარიშების – მზადებას. ღამის 3-4 საათზე კი, ლეპტოპთან როცა ჩამთვლემს, მშობლები დახურავენ და გადადებენ ხოლმე გვერდზე, მე კი დილით ისევ მაღვიძარა მაღვიძებს და ციფერბლატზე ისევ 07:00 საათია.

## სირთულეები

ზოგადად, ინკლუზიურ განათლებაში ბევრი სირთულეა, უპირველესი – დაბალი ანაზღაურება. სწორედ ამის გამო ხდებოდა გამოცდილ სპეციალურ მასწავლებელთა სკოლიდან გადინება და კერძო სექტორში ან სხვა სფეროში დასაქმება. ამის თაობაზე არაერთი მოთხოვნა გვქონდა ალექსანდრე ჯეჯელავასთან, რომელიც არანაირ რეაგირებას არ ახდენდა. საბოლოოდ, ჩვენთან შეხვედრის ინიციატივა მიხეილ ჩხენკელმა გამოიჩინა. შევხვდით და ვესაუბრეთ ინკლუზიაში არსებულ სირთულეებზე და როგორც ხედავთ, შედეგსაც მივაღწიეთ – სპეცმასწავლებლებს მასწავლებლის სტატუსი მოგვენიჭა და ანაზღაურებაც გაგვეზარდა. ახლა ველოდებით სქემის შემუშავებას.

თავისთავად, ინკლუზიურ განათლებაში ერთ-ერთი სირთულე არაკვალიფიციური კადრია – სპეცმასწავლებლის ვაკანსიებს უმეტესად ფსიქოლოგები ან სხვა საგნის მასწავლებლები იკავებენ ისე, რომ მათი წინასწარ მომზადებაც კი არ ხდება. სამწუხაროდ, სპეციალურ მასწავლებელს მხოლოდ სკოლაში მუშაობის დაწყების შემდეგ შეუძლია გადასამზადებელი ტრენინგის გავლა. ფაქტობრივად, გამოუცდელ კადრს უწევს სკოლაში მუშაობის დაწყება, რასაც, საბოლოოდ, დიდ სირთულესთან მივყავართ. ამიტომ, ვფიქრობ, განათლების სისტემამ უნდა იზრუნოს შესაბამისი კადრების წინასწარ გადამზადებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ დიდი ხანი არ ამაღლდება ინკლუზიური განათლების ხარისხის დონე საქართველოში.

ზოგჯერ, ისეც ხდება, რომ სკოლის ადმინისტრაციას – დირექტორს არ აქვს შესაბამისი ინკლუზიური ხედვა, რაც ამ პროცესის ჯანსაღ განვითარებას უშლის ხელს. ამას ემატება საგნის მასწავლებელთა მწირი გამოცდილება თუ მიმღებლობა. მართალია, ეტაპობრივად საგნის მასწავლებლებსაც ატრენინგებენ ინკლუზიური განათლების მიმართულებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად პრაქტიკაში გადატანას ვერ ახდენენ. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მათ შესაბამისი ხედვა არ აქვთ და ისიც, რომ სსსმ მოსწავლესთან მუშაობა გაკვეთილზე დამატებით შრომას მოითხოვს და აღარ სურთ ზედმეტად თავის დატვირთვა. ამის გამო, ხშირად, სპეციალურ მასწავლებელს უთანხმოება აქვს საგნის მასწავლებლებთან, მას გამუდმებით უწევს მოსწავლის უფლებების დაცვა.

ვფიქრობ, ამ მიმართულებით, კარგი იქნება სკოლებში ინკლუზიური განათლების მუდმივი მონიტორინგის წარმოება. დარწმუნებული ვარ, ეს მასწავლებლებსა თუ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს გზიდან გადახვევის საშუალებას აღარ მისცემს.

როგორც ხედავთ, ინკლუზიურ განათლებაში ბევრი სირთულეა – არც ანაზღაურებაა დიდი, სამუშაოც ბევრია, მაგრამ ჩემთვის სწორედ ეს სირთულეებია გამოწვევა, ხოლო წარმატება – ის თითოეული პატარა ნაბიჯი, რასაც ეტაპობრივად ვაღწევ ამ მიმართულებით. მე ის სპეციალური მასწავლებელი ვარ, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, სფეროში ვრჩები და ვცდილობ შევცვალო ის, რაც არ მომწონს და ამისათვის დროსა და ენერგიას არ ვიშურებ!

## „ჩვენ დავიბადეთ ერთმანეთისგან განსხვავებულები, მაგრამ თანასწორუფლებიანები“

საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მიმართ, ძირითადად, არაჯანსაღია, ცნობიერება – დაბალი, რადგან ინფორმირებულობის ნაკლებობაა. ხშირად ყოფილა შემთხვევა (როგორც ჩემს სკოლაში, ასევე სხვა სკოლებში – თბილისსა თუ რეგიონებში), რომ მშობლებს უარი უთქვამთ მოსწავლის შეფასებაზე. ძირითად მიზეზად კი, იმას ასახელებენ, რომ არ სურთ მათ შვილს სსსმ მოსწავლის სტატუსი ჰქონდეს. ამბობენ, რომ ეს ცუდად აისახება სწავლაზე, შემდგომში – დასაქმებაზე. მიიჩნევენ, რომ ეს სტატუსი სამუდამოა და მოსწავლეს „დამღასავით“ მიჰყვება მთელი ცხოვრება. ასე იმიტომ ფიქრობენ, რომ შესაბამისი ინფორმაცია არ აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ხშირად, სპეციალისტებიც ვერ აწოდებენ სწორად ამ თემას. არადა, მშობელი იმდენადაა დარწმუნებული მის სისწორეში, რომ აზრს აღარც იცვლის. ზოგჯერ გარშემომყოფების, მეზობლების, ნათესავებისაც ერიდებათ, იმაზე უფრო მეტად ფიქრობენ, რას იტყვიან ისინი? ამ ყველაფერს იქამდე მივყავართ, რომ მშობელი არ აღიარებს შვილის საჭიროებას და მაღალი მოლოდინი აქვს მის მიმართ. აქედან გამომდინარე, ვერც შესაბამის დახმარებას უწევს. საბოლოო ჯამში კი, ისევ ბავშვი ზარალდება, რადგან ეს დამოკიდებულება ცუდად აისახება მის განვითარებაზე.

ინფორმაციის ნაკლებობისა და დაბალი ინტეგრაციის ბრალია ისიც, რომ ზოგჯერ მასწავლებლებიც და საზოგადოების უმეტესობა შიშით ან სიბრალულით უყურებენ სსსმ და შშმ მოსწავლეებს, რაც ერთმნიშვნელოვნად არასწორია. არც მომეტებული მზრუნველობაა მიზანშეწონილი და არც სიბრალული. უნდა გვესმოდეს, რომ ყველანი განსხვავებულები ვართ ჩვენი შესაძლებლობით: ზოგს სიმღერა არ შეუძლია, ზოგს – ხატვა, ზოგს სიარულის ან მეტყველების სირთულე აქვს, ზოგს – სწავლის. რომელი მათგანი იქნება ტიპური მოსწავლე? ან ვინ განსაზღვრავს რა არის ნორმა? თითოეული ჩვენგანი განსხვავებულია და ყველას, მათ შორის მეც, გვაქვს კონკრეტული სირთულეები, რაშიც შეიძლება დაგვჭირდეს გარემოს მორგება ან ვინმეს დახმარება. სწორედ ამიტომ უნდა მივიღოთ ერთმანეთი ისეთები, როგორებიც ვართ, გავუწიოთ დახმარება, თუკი ამის საჭიროებაა და მოვეპყროთ, როგორც თანასწორს.

ინკლუზიის ამომავალი დებულებაც სწორედ ესაა – *„ჩვენ დავიბადეთ ერთმანეთისგან განსხვავებულები, მაგრამ თანასწორუფლებიანები“.*

იმისათვის, რომ საზოგადოების ცნობიერება ამაღლდეს და მიმღებლობა გაიზარდოს, სახელმწიფომ აქტიურად უნდა აწარმოოს საინფორმაციო კამპანია. მართალია, ბოლო წლებში სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება ამ მიმართულებით და, წინა წლებთან შედარებით, მიმღებლობაც გაიზარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა. არც მხოლოდ მასწავლებლების და დირექტორების დატრენინგებაა საკმარისი, რადგან მშობლების გადამზადებაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სხვა სპეციალისტების – მოსწავლე, ძირითადად, მშობელთანაა და მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციები, რომელსაც სპეციალისტები აძლევენ, არასაკმარისია.

## როგორ მოვიქცეთ, თუკი კლასში სსსმ ან შშმ მოსწავლე გვყავს

დიდი ხანია, რაც ხვადასხვა პროექტში ვარ ჩართული, ვატარებ ტრენინგებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე, სახალხო დამცველის აპარატის პროექტის ფარგლებში, ვატარებ ინკლუზიური განათლების მონიტორინგს სკოლებში. შესაბამისად, დაახლოებით, ვიცი რა სირთულეები აქვთ სპეციალურ მასწავლებლებს. ამიტომ, მათ რამდენიმე რჩევას მივცემ:

❖ **კარგად გაეცანით თქვენს ფუნქცია-მოვალეობებს და თავიდანვე წარუდგინეთ ისინი საგნის მასწავლებლებსაც, თუნდაც, პრეზენტაციის სახით,** რომ ყველამ იცოდეს ვის რა ფუნქცია აკისრია სკოლაში. ხშირადაა შემთხვევა, როდესაც საგნის მასწავლებლებმა არ იციან თავიანთი და სპეციალური მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობანი სსსმ მოსწავლეებთან მიმართებაში, რაც არასწორი მიმართულებით მუშაობას განაპირობებს;

❖ **აუცილებლად გაწერეთ რესურსოთახში სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის განრიგი;**

❖ **წლის დასაწყისშივე შეადგინეთ სპეციალური მასწავლებლის რესურსოთახში მუშაობის გეგმა თითოეული სსსმ მოსწავლისათვის, მათი საჭიროების მიხედვით;**

❖ **პერიოდულად განაახლეთ რესურსოთახში არსებული რესურსები, სამსახურეობრივი ბარათით მიმართეთ ადმინისტრაციას რესურსების საჭიროების შესახებ;**

❖ **სიფრთხილით მოეკიდეთ მოსწავლის გაკვეთილიდან გამოყვანას, ნუ გააკეთებთ ამას საჭიროების გარეშე. სჯობს, გაკვეთილების შემდეგ იმუშაოთ რესურსოთახში უნარების გაუმჯობესებაზე, ვიდრე კონკრეტული გაკვეთილის გაცდენის ხარჯზე;**

❖ **დაესწარით გაკვეთილებს არა მარტო დახმარების, არამედ მონიტორინგის მიზნით.**

❖ **გაკვეთილზე დასწრებისას, გამოიყენეთ დაკვირვების რუბრიკები და გაკვეთილის ბოლოს, მიეცით მასწავლებლებს უკუკავშირი – ერთობლივად გააანალიზეთ გაკვეთილი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და მიეცით რეკომენდაციები;**

❖ **იმუშავეთ მასწავლებლებთან ადაპტირებული გაკვეთილის გეგმის შედგენასა და შემდგომ, დაგეგმილი გაკვეთილის ჩატარებაზე. აღნიშნულით, კარგად ხვდებიან მასწავლებლები, როგორ ჩართონ სსსმ მოსწავლე, მისი შესაძლებლობის მიხედვით, გაკვეთილის სამივე ფაზაში;**

❖ **გქონდეთ ხშირი ურთიერთობა მშობლებთან და მიეცით მათ უკუკავშირი თუ საჭირო რეკომენდაციები;**

❖ **რეალურად გამართეთ ისგ შეხვედრები და ხელი შეუწყვეთ ყველა წევრის დასწრებას;**

❖ **იმუშავეთ ცნობიერების ამაღლებაზე – ამ მიმართულებით ჩაატარეთ საინფორმაციო შეხვედრები და ღონისძიებები სასკოლო მასშტაბით როგორც საგნის მასწავლებლებთან, ასევე სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან და მშობლებთან;**

❖ **დაიცავით მოსწავლეთა უფლებები და ასწავლეთ მათაც რისი უფლება აქვთ, როგორ დაიცვან თავი;**

❖ **ბოლოს, გვახსოვდეს, რომ ინკლუზიური განათლება ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს, ამიტომ ვეცადოთ, ჩვენც შევიტანოთ წვლილი მის განვითარებაში და ხელი შევუწყოთ პოზიტიური ცვლილებების წამოწყებას.**

ესაუბრა ლალი ჯელაძე

პედაგოგთა დასახმარებლად

# „MƏN BUNU BACARIRAM“ – UĞURA DOĞRU ƏN YAXŞI YOL

Gürcü dili dili, ikinci dil kimi təhsil planı qeyri-gürcü məktəblərin şagirdləri üçündür. Onun məqsədi, Dövlət dilinin öyrənilməsi və məktəb təhsilnin , Dövlətin əsas məqsədinin yerinə yetirilməsinin qeydinə qalmaqdır.

Hər müəllimin yeganə bir məqsədi var ki, onun şagirdlərinin yüksək akademik nailiyyəti olsun. yüksək akademik naliyyətləri necə əldə edək? Bunun üçün, nə etmək olar? Biz, bizim XXI əsr şagirdlərinə XX əsr şagirdləri kimi yanaşmamalıyıq. Sinifdə başqa və başqa qabiliyyətə malik şagirdlər var. Bunun üçün, müəllim diferensial metodan istifadə edərək hər bir şagirdin bacarıq səviyyəsini nəzərə alıb, onların qavraya biləcəyi səviyyədə öyrətsin.

Dərsi planlaşdırarkən nəzərə almalıyıq ki, yüksək akademik səviyyəsi olan şagird üçün, dərs maraqsız olmasın və ümumilikdə şagirdlərin dərsə qoşulması yüksək olsun. Yüksək nailiyyətlər əldə etmək üçün, müəllim hər gün yeniliklər fikirləşməlidir. Diferensialı təhsilin tam keyfiyyətli olması ondan aslıdır ki, müəllim şagirdlərini nə qədər yaxşı tanıyır və onların biliklərini, qabiliyyətlərini nə qədər nəzərə alır. Bu cür yanaşma müəllimdən başqa və başqa öyrənmə və öyrətmə metodlarının bilməsini tələb edir.

***IBTIDAI SINIFLƏRDƏ DÖVLƏT DILININ ÖYRƏNILMƏSININ ƏSAS MƏQSƏDI ŞAGIRDIN MOTIVASIYSINI QALDIRMAQ VƏ GÜRCÜ DILININ ÖYRƏNILMƏSINƏ QARŞI MARAQINI STIMULLAŞDIRMADIR. YENIYETMƏLƏRIN GÜRCÜ DILININ ÖYRƏNMƏSINI SEVMƏLƏRI VACIBDIR. BUNUN ÜÇÜN, BU YAŞ QRUPUNUN PSIXOLOJI INKIŞAFININ ÖZƏLLIKLƏRINI NƏZƏRƏ ALAN METODLARDAN ISTIFADƏ EDILMƏSINƏ DIQQƏT EDILMƏLIDIR.***

Mən necə ki, müəllim birinci növbədə çalışıram ki, şagirdlərimi yaxşı tanıyım ki, onların zəif və güclü tərəflərini, nəyi yaxşı və nəyin bacarmadıqlarını aşkarlayım. Dərs mövzusunu seçərkən sinifin akademik səviyyəsini və şagirdlərin bacarıqlarını nəzərə alıram ki, dərs onlar üçün maraqlı olsun. Bunun üçün daima yeni metodların, resursların axtarışındayam. Mənim şagirdlərim isə məndən sabah onlar, üçün yeni nə olacağını gözləyirlər.

Calışıramki, onların sinif otağında təhlükəsiz fiziki mühit olsun. Qrup halında və ya cütlüklərələ işləyərkən sinif otağında hec bir problem olmadan hərəkət edə bilsinlər. Bu dərsin planlaşdırmasında və keçməsində mənə çox yardım edir.

Ibtidai siniflərdə dövlət dilinin öyrənilməsinin əsas məqsədi şagirdin motivasiysını qaldırmaq və gürcü dilinin öyrənilməsinə qarşı maraqını stimullaşdırmadır. Yeniyetmələrin gürcü dilinin öyrənməsini sevmələri vacibdir. Bunun üçün, bu yaş qrupunun psixoloji inkişafının özəlliklərini nəzərə alan metodlardan istifadə edilməsinə diqqət edilməlidir.

Leksikanı öyrənərkən əyanı vasitədən, jestlərdən istifadə edirəm. Əgər öyrənəcəyim söz abstrakt sözdürsə onu nə jestlə, nədə əyani vəsaiyitlə aydınlaşdırmaq mümkün deylisə, o zaman həmin sözü ana dilinə tərcümə edib aydınlaşdırıram ki, mənasını səhf başa düşməsinlər. Qabaqcadan hazladığım rubrika kriteriumları əsasında, şagirdlərimi obyektiv qiymətləndiriəm.

Dili öyrənərkən hər dörd qabiliyyətin inkişafina – dinləmə, oxuma, yazma və danışma qabiliyyətinə diqqət edilməlidir. **Dinləmə** hissəsi üçün, audio-video məsələsindən istifadə etmək üçün, məktəblərdə uyğun olan texnikanın olması lazımdır. Təssüflər olsun ki, bu cür vəsaitlər hər məktəb üçün əlçatmazdır. Bunun üçün, telefondan baxma və dinləmə vəsaiti kimi istifadə edirəm.

**Oxumanın** başqa və başqa stradegiyaları məlumdur. Konkret olaraq şagirdə oxumaq stradegiyasını və metodikasını öyrətmək üçün, hər bir uşağın fərdi bacarığını, onun zəif və güclü tərəflərini və dərs kontekstini nəzərə alılmalıyıq hardaki, qeyd edilmiş qabiliyyətin inkişafı yerinə yetirilməlidir. Eyni zamanda bizim seçdiyimiz stradegiyanın keyfiyyətinə diqqət etməliyik və şagirdlərin uğurlarını qiymətləndirməliyik. Ola bilsin stradegiyanı dəyişmək və ya əlavə metodlardan istifadə etmək lazım olsun.

Məlum olduğu kimi **yazı** prosesi çətin bir prosesdir. Bunun üçün, şagird yazma prosedurasını yerinə yetirməlidir, hər hansı bir sadə sözü azad olaraq yazmalıdır. O, sözün tərkibindəki hərifləri bir-birinndən seçməlidir (sözün tərkibindəki hərifləri bir-birindən seçməyi bacarmalıdır) yazma zamanı həriflərin ardıcıllığını qorumağı bacarmalıdır. Hərifin düzgün yazılması (oxşar hərifləri bir-biriylə qarışdırmamalıdır).

Bizim şagirdlər üçün, **danışmaq** qabiliyyətini inkişaf etdirmək, gürcü mühitində atapdasiya olmaq üçün, cox vacibdir. Bunun üçün, onlara real situasiyaya uyğun olan tapşırıqların yerinə yetirilməsini məs. Kafedə, marketdə, xəstəxanada və s. Kimi yerlərdə istifadə ediləcək leksika vahidlərinin öyrənilməsini tapşıraq.

**Özünüqiymətləndirmə**. Şagirdin özünüqiymətləndirməs ondan aslıdırki, o, ətrafındakılar üçün, nə qədər dəyərlidir, onlar tərəfindən nəqədər qəbul edicidir. Onlar tərəfindən nə qəaədr sevilir, məktəbdə və ailədə necə qəbul edirlər.

Məlumdur ki, nə vaxt ki uşaqlar özləri haqqda müsbət fikirdədirlər, onların məktəbdə nəticələri yüksək olur. Müəllimlər və valideyinlər, uşaqların özlərinə inam qabiliyyətlərini tərifləməklə, tərəfdarlıqla və müsbət qiyçətləndirməklə inkişaf etdirsinlər və onlara „mən bunu bacarıram“ və „edə biləcəm“ kimi əhval ruhiyyə yaratmağı bacarmalıdırlar. Bunu kimi sözlər uşaqlarda akademik naliyyətlərin yüksəlməsinə və motivasiyanın yüksəlməsinə kömək edir.

**NAMAZOVA LEYLA**
***Marneulinin 8-li açıq məktəbinin konsultant müəllimi***

# „მე ამას შევძლებ“ – საუკეთესო გზა წარმატებისთვის

ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო გეგმა განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის. მისი მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება და ამით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მთავარი მიზნის განხორციელებას, სასკოლო განათლების კუთხით.

ყველა მასწავლებელს ერთი რამ ამოძრავებს – მოსწავლეებს ჰქონდეთ მაღალი აკადემიური შედეგები. რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის? პირველ, რიგში, ჩვენ არ უნდა მივმართოთ XXI საუკუნის მოსწავლეებს ისე, როგორც XX საუკუნის მოსწავლეებს. კლასში სხვადასხვა აკადემიური უნარის მქონე ბავშვები არიან, ამიტომ მასწავლებელმა თითოეულის შესაძლებლობა უნდა გაითვალისწინოს და ისე ასწავლოს, როგორც მათი საჭიროება მოითხოვს – გამოიყენოს დიფერენცირებული მეთოდი.

კლასში ისე უნდა დავგეგმოთ გაკვეთილი, რომ მაღალშედეგიანი მოსწავლისათვის სასწავლო პროცესი არ გახდეს უინტერესო და იყოს მაქსიმალური ჩართულობა გაკვეთილზე. მასწავლებელი ყოველდღე უნდა ფიქრობდეს სიახლეებზე, რათა მიიღოს უკეთესი შედეგი. დიფერენცირებული სწავლების ეფექტიანი გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს პედაგოგი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეულის ცოდნას, უნარ-ჩვევებს. ამგვარი მიდგომა მასწავლებლისგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

მე, როგორც მასწავლებელი, პირველ რიგში, ვცდილობ კარგად გავიცნო ჩემი მოსწავლეები, აღმოვაჩინო მათი ძლიერი და სუსტი მხარეები – რა გამოსდით კარგად, რისი გაკეთება უჭირთ და ა.შ. საგაკვეთილო თემის შერჩევისას ვითვალისწინებ კლასის აკადემიურ დონეს და მოსწავლეების შესაძლებლობებს. ასაკის გათვალისწინებით ვქმნი რესურსებს, მოვიძიებ ისეთ მეთოდებს, რომ გაკვეთილი მათთვის საინტერესო იყოს, მუდამ ახალი მეთოდებისა და რესურსების ძიებაში ვარ. ჩემი მოსწავლეები კი იმის მოლოდინში არიან, რა იქნება მათთვის ახალი?

***დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება და ქართული ენის მიმართ ინტერესის სტიმულირება. მნიშვნელოვანია, მოზარდებმა შეიყვარონ ქართული ენის სწავლების პროცესი. ამისათვის სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ითვალისწინებს ამ ასაკობრივი ჯგუფის ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს.***

ვზურანავ, რომ მათ ჰქონდეთ კლასში უსაფრთხო ფიზიკური გარემო. ჰქონდეთ უპრობლემოდ გადაადგილების საშუალება და თავისუფლად შეძლონ კლასში მოძრაობა, ჯგუფურად თუ წყვილებში მუშაობის დროს. ეს კარგად მეხმარება გაკვეთილის დაგეგმვასა და ჩატარებაში.

დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება და ქართული ენის მიმართ ინტერესის სტიმულირება. მნიშვნელოვანია, მოზარდებმა შეიყვარონ ქართული ენის სწავლების პროცესი. ამისათვის სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ითვალისწინებს ამ ასაკობრივი ჯგუფის ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს.

ლექსიკის სწავლების დროს ვიყენებ თვალსაჩინოებებს, ჟესტებს. თუ ეს არის აბსტრაქტული სიტყვა და ვერც ჟესტითა და ვერც თვალსაჩინოებით ავუხსნი, მაშინ მშობლიურ ენაზე ვუთარგმნი, რათა შეცდომით არ გაიგონ სიტყვის მნიშვნელობა. მოსწავლეებს ვაფასებ ობიექტურად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

ენის შესწავლისას აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ ოთხივე უნარ-ჩვევის განვითარებაზე – მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი. **მოსმენის** ნაწილისათვის გვჭირდება აუდიო-ვიდეომასალის გამოყენება, რაც მოითხოვს სკოლაში ტექნიკის არსებობას. სამწუხაროდ, ყველა სკოლას არ აქვს ამის საშუალება. ამიტომ საჭირო ინფორმაციას ტელეფონის საშუალებით ვასმენინებ/ვაყურებინებ.

**კითხვის** სწავლების მრავალი სტრატეგია არსებობს. კონკრეტული მოსწავლისთვის კითხვის სწავლების სტრატეგიისა და მეთოდის შერჩევის დროს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი ინდივიდუალური საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები და საგაკვეთილო კონტექსტი, სადაც აღნიშნული უნარის განვითარების სტიმულირება უნდა განხორციელდეს. ასევე აუცილებელია დავაკვირდეთ ჩვენ მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტურობას და შევაფასოთ ბავშვის მიღწევები. შესაძლოა, საჭირო გახდეს სტრატეგიის შეცვლა ან დამატებითი მეთოდების გამოყენება.

როგორც ცნობილია, **წერა** რთული პროცესია. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს წერის ოპერაციის განხორციელება, თუნდაც მარტივი სიტყვის დამოუკიდებლად ჩაწერა, მას უნდა შეეძლოს სიტყვის შემადგენელი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა (წვდომა, თუ რა ცალკეული ბგერებისა და ასოებისგან შედგება მოცემული სიტყვა), ბგერების საჭირო თანმიმდევრობის დაცვა წერის პროცესში (არ გადაანაცვლოს ან არ გამოტოვოს ასოები), ასოს მოხაზულობა (არ აერიოს მოყვანილობით მსგავსი ასოები ერთმანეთში, მაგ. „ძ“ და „ხ“; „შ“ და „წ“, „ლ“ და „ღ“).



**ლაპარაკის** უნარ-ჩვევის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოსწავლეებისთვის, რათა შეძლონ ქართულ გარემოში ადაპტაცია. ამისათვის საჭიროა, ისეთი დავალებები შევთავაზოთ, რომლებიც მოამზადებს მათ რეალური სიტუაციებისთვის. მაგ.: რა ლექსიკური ერთეულები დასჭირდებათ კაფეში, მარკეტში, საავადმყოფოში და ა.შ.

**თვითშეფასება.** მოსწავლის თვიშეფასება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ღირებულია იგი გარშემომყოფთათვის, რამდენად აღიარებულია მათ მიერ, რამდენად უყვართ და რამდენად მიღებულია იგი სკოლასა და სახლში. ცნობილია, რომ როდესაც ბავშვები კარგი წარმოდგენის არიან საკუთარ თავზე, ისინი უკეთეს შედეგებს აღწევენ სწავლაში. მასწავლებლებისა და მშობლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შეძლონ ბავშვს განუვითარონ საკუთარი თავის რწმენა, შექებით, მხარდაჭერით და წახალისებით მიმართონ ბავშვი წარმატებისკენ და შეუქმნან მას განწყობა – „მე ამას შევძლებ“, „მე გამომივა“. ბავშვის ამგვარი განწყობა გვეხმარება მისი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, მოტივაციის გაზრდაშიც.

**ლეილა ნამაზოვა**
*მარნეულის მე-8 საჯარო სკოლის*
*კონსულტანტი მასწავლებელი*

ახალი წიგნი

# ომის ბავშვებისთვის ომი არასდროს მთავრდება



**„...უცნაური ნისლი იცოდა ჩვენ სოფელში, თითქოს მიწიდან ამოდიოდა ცივი ოხშივარივით და ყველაფერს ბურავდა, ყველა ჩქამს ახშობდა. აქა-იქ თუ გამოისმოდა დილის ჩიტის ძახილი... მე ფანჯარაში ვიყურებოდი. არაფერი ჩანდა, მაგრამ თვალს რომ ვუშტერებდი, ვხედავდი, როგორ ნელ-ნელა უფერულდებოდა ნისლი. ხშირად ვაკეთებდი ასე. თოვლში თუ თვალებს არ დაახამხამებ და სივრცეს მიაშტერდები, ცაში გეგონება თავი. ამ დროს უნდა წარმოიდგინო, რომ ჩიტი ხარ, ან მოკვდი და ღრუბლებში დაფრინავ... თუ მცხუნვარე მზეს მიაშტერდები, რასაც გინდა ყველაფერს დაინახავ – რასაც წარმოისახავ, რაზეც ოცნებობ, რასაც შენი ფიქრი გასწვდება“.**

**„გამოსვლის წიგნი“** – ასე ჰქვია ირაკლი კაკაბაძის მცირე რომანს, რომელიც აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომს ეხება. ავტორი, რომელიც ომის დროს 11 წლის იყო, წიგნის მთავარი გმირია, ბებია-ბაბუასთან დაბა განთიადში იზრდება, დრამატული და ტრაგიკული ამბების უწყვეტ სერიას სწორედ ის გვიყვება, მაგრამ რომანში არც ერთგან არ ისმის მისი ხმა, დიალოგში არავისთან შედის, ჰყვება გაგონილ ამბებს და იმ დღეებზე, რაც გამოიარა – მხოლოდ დამკვირვებელია და სხვათა ნათქვამის გამტარი, გამხმოვანებელი. *„11 წლის ბიჭი მე ვარ, რომელიც ჩემი ბედისწერის გამო ამ ომში აღმოვჩნდი ბებია-ბაბუასთან ერთად. საკმაოდ ბევრი წელი დამჭირდა იმისათვის, რომ ომის დროინდელი ტრავმები, ფსიქოლოგიური თავგადასავალი გადმომეცა, ამბები ერთად შემეკრა და წიგნის სახე მიმეცა. აქ არის 11 წლის ბიჭის განცდები, ყველაფერი, რაც კი შეიძლება ომში მოხდეს და ბავშვმა დაინახოს, თავს გადახდეს ომის ტრაგედიის და კოშმარული დღეების პერიოდში. მივიწყებული, გაგონილი ამბები, სიზმარი, ცხადი ამოვიტანე ზედაპირზე, მცირე რომანის სახე მივეცი. წიგნი, შეიძლება ითქვას, რომ ავტობიოგრაფიულია, მაგრამ მხატვრული ლიტერატურაა და ზოგი ამბავი ცოტა შელამაზებულია, გაზვიადებულია ან პირიქით“.* – ანბობს მწერალი.

ომი რომ ყველა ოჯახში შეიჭრება, განსაკუთრებულად მზრუნველი ბებია და ბაბუა გადაწყვეტენ, შვილიშვილი როგორმე კონფლიქტის ზონას მოაცილონ და სამშვიდობოს გაიყვანონ. ***„ვწრიალებდი, ვშფოთავდი, ცალი ყური ბუხრის ოთახისკენ მქონდა, ვუსმენდი ბებიას და ბაბუას ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბარს. მეტწილად სოფლიდან ჩემს გაყვანაზე ლაპარაკობდნენ.“*** მათი ჩანაფიქრის განხორციელება დღითი დღე უფრო და უფრო რთული ხდებოდა...

წიგნი აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომს სრულიად განსხვავებული მხრიდან გვანახებს. მოთხრობილი ამბავი არ ეხება ომის შეფასებას ან გადაფასებას, არც სიმართლის საზღვრებს სცდება, არც ერთ გმირს სახელი არ აქვს, ზოგადია და ყველას ეხება.

*„იმის მიუხედავად, რომ წიგნში არც ერთგან არ არის ნახსენები სახელები და გვარები, ქართული მხარის კრიტიკაცაა, პოლიტიკური პასაჟებიც. შეიძლება ვინმე მოგვედავოს კიდეც, თუმცა, რაც აღწერილია, რეალურია. ადლერის აეროპორტში მიმავალი მთავარი გმირი და ბაბუა ერთ-ერთ რუსული დასახლების სოფელში წყლის დასალევად შეჩერდნენ. მასპინძელმა მათ დახმარება შესთავაზათ, თუმცა, როგორც ჩანს მათთვის სიკეთის კეთებასაც თავისეული ხელწერა აქვს, ჯერ კიდევ წარსულის ტყვეობაში მყოფმა ოჯახის უფროსმა რუსმა მამაკაცმა არ დამალა, რომ კავკასიელი ხალხი არ უყვარს და მათ სამშვიდობოს მხოლოდ ბავშვის ხათრით გაიყვანდა,“ –* ***„რა არ გასვენებთ, რა არ მოგწონთ, რა კარგ ქვეყანაში ვცხოვრობდით, ყველა ერთად და შეხმატკბილებულად, ნახევარი მსოფლიო ჩვენი იყოო. ...ყარაბაღი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ისევ ჩვენი თავშისახლელია, ამ სულელი და გაუმაძღარი ხალხის პრობლემებიო“.***

წიგნში შეხვდებით აფხაზ თანატოლებს, ახლობლებს, ნათესავებს და გაეცნობით იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ და ისტორიულ ვითარებას, რაზეც უფროსები საუბრობენ. ნაწარმოები ისტორიული არ არის, მაგრამ, იმ პერიოდის მაჯისცემა კარგად ჩანს. ეს არის წიგნი უფროსებისთვის, რათა კარგად დაფიქრდნენ თუ რა მოაქვს ომს, დაპირისპირებას და როგორი ფსიქოტრავმები შეიძლება ჰქონდეთ ომგამოვლილ ბავშვებს, რომლებისთვისაც ომი არ დამთავრებულა, სიზმრებად, კოშმარებად გრძელდება. ავტორის სურვილია, დაფიქრდნენ უფროსები, თუ როგორ ტრავმას აყენებენ არა მარტო საკუთარ თავს და ქვეყანას, არამედ ბავშვებს, მათ ფსიქიკას.

„გამოსვლის წიგნი“ სარკეა – ბავშვი უფროსებს აჩვენებს, რომ ჩაიხედონ ამ სარკეში და დაინახონ რეალობა, რადგან ომი ხშირად ადამიანების ნამდვილ სახეს გვანახებს. მოზარდი გვიამბობს უამრავ პრობლემაზე, მათ შორის, ძალადობის, ოჯახური კონფლიქტებისა და ომის სისასტიკეზე. ბევრ სირთულესა და ტკივილთან ერთად, ტრაგედიის დროს გადახდენილი კეთილი ისტორიებიც მრავლადაა. ბევრი ამბავია მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ შეძლეს ადამიანებმა, საკუთარი სახე არ დაეკარგათ.

**„აქ დამტოვეთო. ვკვდები და ბარემ სასაფლაოზე მოვკვდეო. თქვენ წადით, ვინმე მიპოვის და მიწას მომაყრისო, მიწას არავინ დამაყვედრისო. გადატეხილ ხავსმოდებულ საფლავის ქვასთან მიწვა... აქ როგორ დაგტოვებ, რა პასუხი გავცე შენს ცოლს, შენც შვილებსო. თავისი ცოლი და ორი ქალიშვილი ხუთი დღის წინ დაემარხა. სოფლიდან მოშორებით, ტყეში, ძველ ფერმაში გახიზნა და ერთ კვირაში მეზობლის ბავშვმა ურიკით ჩამოუსვენა შინ. სამივე ნაწამები იყო. ხალხი ამბობდა, სამივეს ფეხსაცმლის შავი საღებავით „ღორები“ ეწერა რუსულად ტანზეო. სამივე გაუპატიურებული იყო. იმ ბიჭმა იმავე საღამოს მოიკლა თავი“.**

*„ეს წიგნი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, დიდი ხანი იწერებოდა, გარკვეული პერიოდი წერა შევწყვიტე, მიტოვებული მქონდა... სირიელი ბავშვების უდიდესმა ტრაგედიამ, ზღვიდან გამორიყული ბავშვების ცხედრებმა მომცეს ინსპირაცია, რომ წერა გამეგრძელებინა. ეს ის განცდებია, რომელიც მახსოვს, რომელიც მეხსიერების ძალიან ღრმა ან ზედაპირულ ფენებში დარჩა, ზოგი ცხადია, ზოგი სიზმარია, ზოგი – უკვე კარგად დავიწყებულიც კი. შევეცადე, ორი მხრიდან მეჩვენებინა ომის სისასტიკე. ომში ადამიანები უფრო მძაფრად ავლენენ ყველაზე ცუდსაც და ყველაზე კარგსაც. წიგნის სახელწოდება „გამოსვლის წიგნი“ სიმბოლურია – გამოსვლა აღთქმული მიწიდან, სამოთხიდან, აფხაზეთიდან... და გამოსვლა იმ ტკივილიდან, ტრაგედიიდან, კოშმარებიდან... ომის ბავშვებისთვის ომი არასდროს მთავრდება, ისინი ვერასოდეს გამოდიან ომის კოშმარიდან. ამიტომაც საკუთარი თავის შველის მცდელობაცაა, რომ ეს ამბები მოყვე, დაიხარჯო, გამოთქვა. ამ წიგნით ვეცადე, ტრავმებისგან გავთავისუფლებულიყავი. ასე ვთქვათ, რეაბილიტაციის წიგნიცაა – ფსიქოლოგიური შველა საკუთარი თავის“.* – გვიამბობს ავტორი.

**„აფეთქების საშინელ ხმაზე თვალები დავხუჭე. აფეთქების ხმას შუშების მსხვრევის და ნგრევის ხმა მოჰყვა. ერთ აფეთქებას მეორეც დაემატა. ჩქარა დაწექი, დაწექი, დაწექიო, განწირული ყვიროდა ბებიაჩემი. მე თვალების გახელის მეშინოდა. ექოებს გადაჰქონდა საშიში ხმა და ნელ-ნელა შორეულ მთებთან ყუჩდებიდა. ყველა ძირს იწვა... ძალიან დიდი ჩანდა ჩვენი ეზო მიწასთან გასწორებული სახლის გარეშე, ამხელა თუ იყო ვერც წარმოვიდგენდი...“**

ირაკლი წიგნს საკუთარ შვილს, ალექსანდრეს, უძღვნის, რომელიც საქართველოში რუსეთის მორიგი უსასტიკესი ომის დროს, 2008 წელს, თბილისში დაიბადა და წიგნის დასრულების დღეს, ზუსტად ამ წიგნის მთავარი გმირის ასაკის შესრულდა.

*„მინდა, რომ ხშირად ვიფიქროთ ბავშვებზე, სწორედ ამიტომ ავალაპარაკე წიგნი ბავშვის ხმით. ჩვენთან ხომ ბავშვებს არაფერს ეკითხებიან – რა სტკივათ, როგორ სტკივათ, საიდან მოდის ეს ტკივილი, არ იციან. ვზრდით, ვაჭმევთ, ვასმევთ, საუკეთესო გვინდა მათთვის, მაგრამ ბავშვს არ ვუსმენთ, ბავშვის ხმა არ გვესმის და ჩვენი ბავშვები არ ცხოვრობენ საკუთარი სურვილების სამყაროში. მართალია, ჩვენ ბავშვებისთვის საუკეთესო გვინდა, მაგრამ არ გვესმის მათი ხმა, ეს საზოგადოების დიდი პრობლემაა. მე მინდა ბავშვის ხმა ისმოდეს ყველგან – ლიტერატურაში, ტელევიზიაში... ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ მათ სურვილებს, ინტერესებს. ლიტერატურას და წიგნს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს პიროვნების, ზოგადად, საზოგადოების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში. მე არ ვიცი მომავალში რას დავწერ, მაგრამ ვიტყვი, რომ „გამოსვლის წიგნი“ ჩემი ცხოვრების მთავარი წიგნია, ეს იყო ყველაზე დიდი სათქმელი, რაც ამდენი ხნის განმავლობაში თან დამქონდა და მინდოდა მეთქვა“.*

„გამოსვლის წიგნმა“, რომელიც ირაკლი კაკაბაძემ თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდში – ემიგრაციაში დაწერა გამოჩენისთანავე მიიქცია საზოგადოების ყურადღება (ქართველმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ბოლო წლებია ირაკლი კაკაბაძე სტამბულში ცხოვრობს). ჯერ კიდევ ფრანკფურტში, წიგნის ბაზრობაზე გაიმართა წიგნის უცხოენოვანი პრეზენტაცია და რამდენიმე უცხოური გამომცემლობაც დაინტერესდა. ასევე, იგეგმება სტამბულში თურქულენოვანი წიგნის წარდგინება, რომელიც მთარგმნელმა ფარნა-ბექა ჩილაშვილმა თარგმნა. ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ გამომცემელსაც მალე იპოვის. მწერალი მიიჩნევს, რომ *„წიგნის უცხო ენაზე თარგმნა აუცილებელია, რადგან ჩვენ აფხაზეთთან დაკავშირებით საინფორმაციო ომი მოსაგები გვაქვს არა მარტო თურქეთში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაში.“* მისივე თქმით, წიგნი დაგვეხმარება იმ ტრაგედიის გააზრებაში, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა რუსული აგრესიის შედეგად აღმოჩნდა.

მწერალს ყოველი ახალი წიგნის გამოცემა ძალიან ახარებს და მოუთმენლად ელის რეაქციას – რა გამოხმაურება მოჰყვება და რა ემოციებს აღძრავს მკითხველში.

*„ეს არის წიგნი, რომელიც მუდმივად შეგახსენებს თავს“* – ასეთ შეფასებას აძლევს მცირე რომანს პროზაიკოსი და ჟურნალისტი **რუსუდან რუხაძე**: *„ძალიან მტკივნეული ამბავია, მძაფრი შეგრძნებები დამიტოვა. აქ განთიადსაც თავისი სუნი აქვს. ეს არის სუნებით, გემოებით, ხმებით შენახული ამბავი. ვინც არ ყოფილა მდუმარე ბავშვი, მისთვის რთული წარმოსადგენია, როგორ შეიძლება ატარო ასეთი ამბავი, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამბებს არა მხოლოდ გონებით, არამედ სხეულითაც ინახავენ, მთლიანად სხეულის ენით არის მოყოლილი ეს ამბები. ვიზიარებ იმ ტკივილს, რომელიც ამ წიგნშია. როდესაც ადამიანი იწყებს წერას, ის წერას იწყებს ერთი დიდი სათქმელით და ერთი ტექსტით, ზოგი ახერხებს ამას. მიხარია რომ ირაკლიმ შეძლო ამ წიგნის დაწერა და ტკივილისგან გათავისუფლება. თუკი რამ აყალიბებს ჩვენს საერთო მეხსიერებას ჩვენთვის მნიშვნელოვან მოვლენებსა და თარიღებზე, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, არის ლიტერატურა და მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ თაროზე მოხვდება ირაკლის წიგნიც“.*

მწერალი **ზვიად კვარაცხელია** ამბობს: *„მნიშვნელოვანია, რომ ამ წიგნის პერსონაჟი ბავშვია. ის გვიყვება ყველაფერს, რაც მის თვალწინ მოხდა... ამბები ერთი მეორეს ენაცვლება. აქ მოთხრობილია აფხაზებისა და ქართველების ცხოვრების ამბავი, ავტორი ყველას ბედს სწვდება, ბავშვის ენით ჰყვება და ვერსად იპოვით ყალბ სტრიქონს. წიგნი ერთი ამოსუნთქვით წასაკითხია.*

*ალსანიშნავია, რომ „გამოსვლის წიგნი“ ირაკლიმ მისი ცხოვრების ყველაზე რთულ პერიოდში, ემიგრაციაში ყოფნის დროს დაწერა. ბევრი სირთულის მიუხედავად მან მოახერხა, მკითხველი კიდევ ერთი არაჩვეულებრივი წიგნით გაეხარებინა“.*

**გიორგი კაკაბაძე,** მწერალი და მთარგმნელი: *„წიგნმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, კითხვისაგან ასეთი ესთეტიკური სიამოვნება დიდი ხანია არ მიმიღია. ეს არის არაჩვეულებრივი, უნიკალური და მნიშვნელოვანი წიგნი პატარა ბავშვის სამყაროს ნგრევაზე, მოზღვავებულ ბოროტებაზე, განწირულობაზე, იმაზე, თუ როგორ არ უნდა დანებდე გასაჭირს. წიგნი ირაკლის ძალიან ბევრ კეთილისმსურველს და ბევრ მოშურნესაც გაუჩენს. ასე რომ: „ირაკლი, გამაგრდი!“*

* * *

***„...ჯერ კიდევ ბნელოდა, გზას რომ დავადექით მე და ბაბუაჩემი. ფეხით ვიარეთ განთიადამდე. მთელი გზა დუმდა, არაფერი უკითხავს, არაფერი უთქვამს. მე ხარბად ვათვალიერებდი მიდამოს. თურმე რამდენი რამ დამრჩენოდა დღემდე შეუმჩნეველი ამ გზაზე... ყველაფერი უცხო, ახალი მეჩვენებოდა. არადა, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გამივლია ეს გზა. მეგონა თვალდახუჭულიც გავივლიდი. ამ გზით დავდიოდი ზღვაზე და ამავე გზით ვბრუნდებოდი შინ...***

***...ცოტახანი სიჩუმე იყო. მერე ისევ სროლის ხმამ გაარღვია სიჩუმე. მივრბოდი, ჩქარა მივრბოდი, მივრბოდი და ვეცემოდი. მხოლოდ ჩემი ქოშინის ხმა მესმოდა.***

***დათვლა დავიწყე“.***

მოამზადა მაკა ყიფიანმა

# ცვლილებები საგამოცდო ტესტებში

2019 წელს ცვლილება ოთხ გამოცდას (ქართულ ენასა და ლიტერატურას, ლიტერატურას, გეოგრაფიასა და უცხოურ ენებს) შეეხება. წინა წლების ტესტების ანალიზმა და პედაგოგებთან ერთად ამ გამოცდების შედეგების განხილვამ აჩვენა, რომ აბიტურიენტის ცოდნისა და უნარების უკეთ შესაფასებლად მიზანშეწონილია ამ საგამოცდო ტესტების ფორმატში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ამ ცვლილებების მიუხედავად, არ შეიცვლება მინიმალური კომპეტენციის პროცენტული ზღვარი.

**ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა:**

ტესტში იქნება მხოლოდ 3 დავალება: ტექსტის რედაქტირება (მაქსიმალური 16 ქულა), არგუმენტირებული ესე (მაქსიმალური 24 ქულა) და მხატვრული ტექსტის ანალიზი (მაქსიმალური 30 ქულა). ასე რომ, წინა წელთან შედარებით 2019 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტს მოაკლდება 15 ქულიანი არჩევითპასუხებიანი დავალება (წაკითხულის გააზრება), მხატვრული ტექსტის ანალიზს კი დაემატება 5 ქულა; შესაბამისად, საგამოცდო ტესტი იქნება 70 ქულიანი და არა 80 ქულიანი, როგორც ეს წინა წლებში იყო;

ტესტის დავალებების შემცირებასთან ერთად შემცირდება საგამოცდო დროც და გახდება 3 საათი და 45 წუთი.

**უცხოური ენების გამოცდა:**

ტესტიდან ამოღებულია ერთ-ერთი დავალება. ეს არის მე-7 არჩევითპასუხებიანი დავალება, რომელიც გრამატიკის ცოდნას ამოწმებდა. გრამატიკის ცოდნა შემოწმდება ტესტში არსებული წერითი დავალებების საშუალებით.

საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 80 და არა 90, როგორც ეს წინა წელს იყო;

შესაბამისად, საგამოცდო დრო გახდა 2 საათი და 30 წუთი (დრო 10 წუთით შემცირდა).

**ლიტერატურის გამოცდა:**

ტესტიდან ამოღებულია ერთი წერითი დავალება, სამაგიეროდ გაიზრდება ღია კითხვების ბლოკი (მაქსიმალური ქულაა 40 ნაცვლად 30-ისა) და მხატვრული ტექსტის ანალიზის მაქსიმალური ქულა იქნება 30 ნაცვლად 25-ისა.

საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 70 და არა 80, როგორც ეს წინა წლებში იყო;

ტესტის დავალებების შემცირებასთან ერთად შემცირდება გამოცდისათვის განკუთვნილი დროც - 4 საათისა და 15 წუთის ნაცვლად, იქნება 4 საათი.

**გეოგრაფიის გამოცდა:**

ტესტში გაიზრდება ე.წ. ღია დავალებების ხვედრითი წილი, რომლებიც კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული ცოდნის გამოყენებასა და ანალიზზე;

შემცირდება ე.წ. არჩევითპასუხებიანი კითხვების წილი და დაემატება 1, 2, 3 და 4 ქულიანი ღია დავალებების ბლოკი;

ტესტში უცვლელია შემდეგი დავალების ტიპები: კითხვა არჩევითი პასუხებით; რუკის ანალიზი (ფიზიკური და ტოპოგრაფიული); ინფორმაციის ანალიზი;

ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 60 ნაცვლად 59-ისა;

აბიტურიენტებს გამოცდაზე კვლავინდებურად დაურიგდებათ საქართველოსა და მსოფლიოს A3 ფორმატის ფიზიკური რუკები და შესაბამისი დავალებისათვის გათვალისწინებული ტოპოგრაფიული რუკები. 2019 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში სხვა ტიპის სიახლე არ იგეგმება.

# ქართული ენისა და ლიტერატურის დავალებების ნიმუში

## I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. ***გაასწორეთ*** მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

***გაითვალისწინეთ,*** ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

*კახეთის ისტორიული ქალაქი გრემი მდინარე ინწობის ნაპირზე იმყოფებოდა. ვარაუდობენ, რომ მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე უკვე ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო. მიუხედავათ იმისა, რომ გრემი კახეთის დედაქალაქი იყო მის ისტორიაზე, თვით ქალაქზე, მის იერსახეზე მხოლოდ რამდენიმე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ერთი კი ცხადია დღემდე შემორჩენილი ნაგებობები და არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ არსებობის ხან მოკლე პერიოდში გრემი აყვავებული, ფრიად მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრული ნაგებობებით დამშვენებული ქალაქი ყოფილა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სპარსული და ჩინური კერამიკის ნიმუშები რაც არქეოლოგიური გათხრებით იქნა მოპოვებული. იმას, რომ ქალაქს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია იმ დროის მოწინავე ქვეყნებთან, სწორედ ამ მასალებით დასტურდება.*

*1614 წელს კახეთი შაჰ-აბასს დაულაშქრია და სასტიკად აუოხრებია. შაჰის რისხვა გრემსაც დატყდომია თავს. როგორც როსტომ მეფის მემატიანე მოგვიანებით სწერდა, გრემის ერთ დროს მშვენიერი სასახლეები ნადირთა სადგომად იყო ქცეული. გრემმა როგორც კახეთის სატახტო ქალაქმა კიდევ რამდენიმე ათეულ წელს იარსება და შემდეგ პირველობა თელავს დაუთმო.*

## II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

**ტოლერანტობა ნიშნავს სხვა ადამიანების** მრწამსის, ინტერესებისა და ღირებულებების პატივისცემასა და აღიარებას.

*გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:*

**ტოლერანტობა არ ნიშნავს უპრინციპობას. იგი გულისხმობს საზოგადოების წევრების მიერ ურთიერთდათმობების საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებას.**

*არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.*

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

***გაითვალისწინეთ,*** თუ თქვენი მსჯელობა ოთხი-ხუთი წინადადებით შემოიფარგლება, ნაშრომი არ გასწორდება.

## III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი წერითი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

**წერითი დავალება №1**

**„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი ავთანდილს ხატაელებთან ბრძოლის ამბავს უამბობს:**

*__1.__ შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად;*
*საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;*
*ერთსა წავსწყდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად.*
*მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად.*

*__2.__ ახლოს მივე, შემომხედნეს, „შმაგიაო“, ესე თქვესა.*
*მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;*
*კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,*
*შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!*

*__3.__ შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,*
*კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;*
*კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი,*
*ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი...*

*__4.__ საღამო-ჟამ დაიზახნა ქედით მათმან დარაჯამან:*
*„ნუღარა სდგათ, წაედითო, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან,*
*მოვა მტერი საშინელი, შეგვაშინა ამად ამან,*
*ნუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთვალავმან, ბევრმან სპამან“.*

*__5.__ ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანნეს მე არა,*
*რა ეცნა, წამოსრულიყვნეს, ღამე-წამორთვით ეარა;*
*ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ეარა;*
*გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა, ბუკმან ხმა გააზეარა.*

*__6.__ იგი ნახეს, გასაქცევად გაემართნეს, შევჰყივლენით;*
*ველნი, ჩვენგან ნაომარნი, ომითავე გარდავვლენით.*
*რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით,*
*მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით.*

*__7.__ უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა,*
*დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა;*
*ძილისა მიჰხვდა ნაცვალი ძილ-მკრთალთა, ღამე-თეულთა,*
*ტყვეთა მრთელთაცა არ აკლდა კვნესა, მართ ვითა სნეულთა.*

*__8.__ მას ადგილსა ნაომარსა გარდავხედით მოსვენებად.*
*ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა, არ ნაღებად;*
*ჩემნი სპანი მოვიდიან საჭვრეტლად და ჩემად ქებად,*
*ვერ იტყვიან, ვერ მიმხვდარან ქებასაცა მოხსენებად.*

*__9.__ ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს;*
*ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს,*
*რომელთაცა გავეზარდე, დიდებულნი ამიტირდეს,*
*ჩემგან ხრმლითა განაკვეთნი ნახნეს, მეტად გაუკვირდეს.*

*__10.__ გავგზავნენ ყოვლგან ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე,*
*ერთობ სავსენი მოვიდეს, თავიცა ვალაღებინე,*
*სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევაღებინე,*
*არ ვჰბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავაღებინე.*

*__11.__ რამაზს ვარქვი: „შემიგნია საქმე შენი სამუხთალე,*
*აწ ეგრეცა შეპყრობილმან თავი გამოიმართალე,*
*სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყველა ხელთა მომათვალე,*
*თვარა შენი შეცოდება მემცა ზედა რად წავსთვალე?“*

*__12.__ რამაზ მითხრა: „აღარ არის ამის მეტი ჩემი ღონე,*
*ერთი ჩემი დიდებული მომეც, ზედა მაპატრონე,*
*ციხოვანთა გავუგზავნო, საუბარი გამიგონე,*
*ხელთა მოგცემ ყველაკასა, განაღამცა შენ გაქონე!“*

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება **აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს** და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების **მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.**

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, როგორ ხატავს ავტორი ბრძოლის სცენას (შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ისტორიული კონტექსტი).
- იმსჯელეთ ტარიელის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

**წერითი დავალება №2**

**ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „ლამაზი ცრემლები“:**

ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, თინას მამა დაადგათ თავს, ადექით, შვილებო, შეშა ჩამოვიტანე და მაჩვენეთ, სად ჩამოვცალოო... შეშა სარდაფში ჩაზიდეს და კედლის ძირას ააკოკოლეს, თინა მშვენივრად მიეხმარა.

გიას ხერხი შინ ჰქონდა, წაიღო ის ხერხი, დეზერტირების ბაზართან გაალესინა, ჯოჯგინებიც გააკეთა შეშის დასადებად. შვიდ საათზე დგებოდა, სარდაფში ჩადიოდა, ხერხავდა, აპობდა, თვითონვე ამოჰქონდა, ღუმელსაც თვითონ ახურებდა, მერე მკლავებს უჩვენებდა თინას, ნახე, როგორ დამებერა კუნთებიო. თინას სასიამოვნოდ ეღიმებოდა. რამდენჯერმე კარგი ხორციც იშოვეს, ამხანაგები დაჰპატიჟეს, მწვადი შეწვეს. ყველანი ნაღვლიანი აღტაცებით აქებდნენ შეშას და მის ცეცხლს. არა, ძმაო, სულ სხვაა ნამდვილ ნაკვერჩხლებზე შემწვარი მწვადიო! ლოცავდნენ ხეების აღმომცენებელ მიწას, ფოთლების გამხარებელ ცას. პატარა თამუნიაც კი სულ „მწვადს“ გაიძახოდა. მაგრამ ერთ საღამოს გია შეფიქრიანებული დაბრუნდა სამსახურიდან. თინამ ვერ გაუბედა ეკითხა, რა მოხდაო, თვითონვე თქვა, ხვალ მივლინებაში მგზავნიან მთელი ოცი დღით და არ ვიცი, როგორ წახვალთ იოლას უჩემოდო. ერთი პირობა თინაც შეფიქრიანდა, მერე სველი ხელები უკან გასწია, აკოცა გიას, შენ ჩვენი დარდი ნუ გექნება, მე მაგარი გოგო ვარო. გიას ცოტა გულს მოეშვა, მიდგა-მოდგა, რაღაცებს დაუწყო ძებნა...

დილით, ძალიან ადრე, რძის რიგი რომ დაიკავა, ბაზართან აირბინა. მხერხავები იქ იყვნენ,

ზოგი იდგა, ზოგიც ბალის ყორეებზე ჩამომჯდარიყო. აიარა, ჩამოიარა. ერთი პატარა მიმყუდროებული ბერიკაცი ამოირჩია, თან მოეწონა, თან ეს იფიქრა, იქნებ როგორ უჭირს, მაგას ხომ სხვა არ წაიყვანსო! წამობრძანდებით პაპაო, ბერიკაცს ფარაჯის სახელოებიდან ხელები არ გამოუყვია, ხერხი მარცხენა მკლავზე ეკიდა, ისევე გაჰყვა. წავკისელი იყო, შვილები და შვილიშვილები ზოგი საით გაჰფანტოდა, ზოგი საით...

პირდაპირ სარდაფში არ ჩაუყვანია, ჯერ მაღლა ავიდნენ. ნახე, როგორი პაპა მოვიყვანე, თინაო. თინა გამოვიდა, იმასაც მოეწონა, ისეთი პაპაა, მოფერება მოგინდებაო. და მოეფერა კიდეც, ღუმელთან მობრძანდით, პაპილო, გათბითო. არა, შვილო, არა მცივაო. თინა მაინც არ მოეშვა. მაშინ ბერიკაცმა ხერხი კარს უკან მიაყუდა, ფეხებზე ყურებით მივიდა ღუმელთან, ხელები ჯერ შორიდან მიუშვირა, მერე ზედ დააწყო. მოვიდა თამუნიაც, დაინტერესებულმა შემოუარა ირგვლივ. ბერიკაცმა გაუღიმა, რაო, პატარა ქალოო! თამუნია მიბრუნდა და დედასთან გაიქცა...

არ უვაჭრიათ. შეშის დახერხვის მაზანდა ერთმაც იცოდა, მეორემაც. თხუთმეტი მანეთი უნდა მოგართვათო, თქვა გიამ. მოხუცმა ფარაჯა გაიხადა. შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა, შავი ბამბაზიის ხალათი, ქამარშემოჭერილი, ჯიბისპირებაღუნული, წვრილი ღილებით ძირამდე შეკრული. აილო შეშა, დადო ჯოჯგინებზე; რბილად გადაუსვა ხერხი. წადი, შვილო, შენ ნუღარ მოსცდები. მე დავხერხავ და დავალაგებ წყობისადო. გია გახარებული ამოვიდა მაღლა...

ოთხის ნახევრისთვის გიამ მოირბინა, მე მივდივარ და აბა, თქვენი იმედი მაქვს, პაპაო. წადი, შვილო, წადი, კეთილად გატაროსო. გიამ ზეზეულად წაიხემსა, შეშის დასახერხი ფული დატოვა, ცოლ-შვილი დაკოცნა და წავიდა.

ბერიკაცმა საღამომდე ხერხა, საღამოს ამოვიდა, ცოტაღა დამრჩა, შვილო, მაგას ხვალ დავხერხავო. თინამ სუფრის გაშლა დაიწყო. არა, შვილო, მაგის დრო არ არის, შინ უნდა წავიდეო. მაშინ თინამ ფული გამოუტანა, ბერიკაცი ცოტა შეყოყმანდა, თინამ ხელში ჩაუდო, წაიღეთო, წაიღეთო! ბერიკაცმა მადლობა გადაუხადა, დილამდე, შვილო, დილაზე ჩამოვალ და ყველაფერს მოვრჩებიო, წავიდა.

წავიდა და წავიდა. არც მეორე დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო კვირას.

დაბრუნდა გია მივლინებიდან. გაიგო ეს ამბავი, აი, ასე ქნა იმ შენმა მოლაღურივით ბერიკაცმაო. დაჯდა გამტკნარებული. როგორღაც გაუგებრად იღიმებოდა. მერე თქვა, მაინც რამდენი იქნება დახერხილიო. ნახევარზე ცოტა მეტიო, მიუგო თინამ. მაშ, იცი რა, ჩემო მაგარო გოგოვ, მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გავიმეტებთ კაცს, იქნებ რა მოუხდა, იქნებ რა შეემთხვაო! კარგიო! გაეღიმა თინასაც.

გავიდა კიდევ ერთი კვირა, კვირაზე მეტიც.

ერთ დღეს ერთი დაბალი, ხერხიანი ბიჭი მოვიდა ეზოში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კითხულობდა, პატარა გოგო რომ ჰყავთ, შეშა რომ ჰქონდათ სარდაფშიო. მეზობლები მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდოდა, წაუძღვნენ, მოიყვანეს, ზარიც დაურეკეს. თინამ გამოიხედა. ბიჭი მორცხვად ალაპარაკდა, პაპაჩემს თქვენი შეშა დარჩა დასახერხი, მე მოვედი, მე უნდა დავხერხოო. თუ დახერხილი გაქვთ, რაც გეკუთვნით, ფული უკან უნდა აიღოთო. თინას სახე შეუფიქრიანდა, პაპა? პაპას რა დაემართაო? პაპა მოკვდა, ხუთი დღეა, რაც დავმარხეთო. თინამ კარს ლოყა მიადო და ასე გაშტერებული დარჩა. გამოიხედა გიამ, იმანაც გაიგო, რა ამბავიც იყო, აჰო, არაო, როგორ გეკადრებათო! მაგრამ ბიჭმა არ დათმო, ანდერძად ეგ დამიტოვა და უნდა შევუსრულოო. მეტი რაღა გზა იყო. ჩაუძღვა სარდაფში. ბიჭმა გაჩქარებული ხერხვა დაიწყო.

გია მაღლა ამობრუნდა. თინა შუა ოთახში დახვდა. გიამ ხელები კეფაზე შემოიწყო, აი, ხომ ხედავ, რა კარგია, კარგები რომ ვართო! თინამ გაუღიმა. თვალებში ლამაზი ცრემლები ედგა.

**წერითი დავალების ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ **თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს** და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). **გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.**

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, როგორ ხატავს ავტორი პაპის სახეს (ყურადღება მიაქციეთ შვილიშვილისათვის დატოვებულ ანდერძს).
- იმსჯელეთ ოჯახურ ურთიერთობათა შესახებ ამ ტექსტის მიხედვით.
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

# ლიტერატურის დავალებების ნიმუში

## I. ქართული ლიტერატურა

**(2) 1. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის თხზულება „შუშანიკის წამება“.**
1. როგორ მოიქცა შუშანიკი, როდესაც „ვინმე სპარსისაგან“ თანაგრძნობის სიტყვები მოისმინა?
2. რა არგუმენტი გამოიყენა „ვინმე სპარსმა“, როდესაც ვარსქენს ურჩია – დედოფალს მკაცრად ნუ მოექცევიო?

**(2) 2. გაიხსენეთ იოანე საბანისძის თხზულება „აბო თბილელის წამება“.**
1. რა ხელობა ჰქონდა აბოს?
2. რატომ იყო აბო უფლის მადლობელი, რომ აფხაზეთში აღმოჩნდა?

**(2) 3. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**
1. ხანძთელის ახლობლებმა ისურვეს მისი ხუცად კურთხევა. რა უპასუხა მათ გრიგოლმა?
2. რა მოიმოქმედა გრიგოლმა, როცა ახლობლებმა მისი ეპისკოპოსად კურთხევა მოინდომეს?

**(6) 4. გაიხსენეთ ავთანდილის ანდერძი შოთა რუსთველის პოემიდან „ვეფხისტყაოსნი“.**
1. რა მიაჩნია ავთანდილს ყოველგვარი უბედურების სათავედ?
2. ავთანდილის აზრით, რა არის ცოდნის, სიბრძნის დაუფლების საბოლოო მიზანი?
3. ავთანდილის აზრით, რა აღამაღლებს ადამიანს სულიერად?
4. ვის ავტორიტეტს იმოწმებს იგი ამ თემაზე საუბრისას?
5. რატომ არ შეუძლია ავთანდილს, რომ ტარიელის დასახმარებლად არ წავიდეს?
6. რომელი ადამიანური სისუსტის შესახებ საუბრობს ავთანდილი, როდესაც მამაკაცს ადარებს „დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“?

**(2) 5. გაიხსენეთ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.**
1. რატომ გადაწყვიტა მეფე ფინეზმა ნადირობისას ნანახი უცნობი ჭაბუკის მოწვევა უფლისწულის აღმზრდელად?
2. როგორ შეხვდა ლეონი მეფის წინადადებას?

**(2) 6. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:**

„ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო!
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო;
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო“.

1. რის შესახებ ამბობს ავტორი – „არ დაიჭირვის ხელშია“? (ციტირება დაუშვებელია!)
2. ავტორის აზრით, რა „სჯობს“ ადამიანისათვის? (ციტირება დაუშვებელია!)

**(2) 7. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „საღამო გამოსალმებისა“.**
1. ლექსის ლირიკული გმირი ამბობს: „არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა...“ რამ განაპირობა პერსონაჟის ამგვარი განწყობილება?
2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“?

**(2) 8. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“.**
1. რატომ არ ახარებდა ერეკლე მეფეს აღა-მაჰმად-ხანთან პირველ დღეს მოპოვებული გამარჯვება?
2. რას გულისხმობს პოეტი სიტყვებში: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“?

**(2) 9. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“.**
1. მოხევის თქმით, რა ფუნქცია ჰქონდა ადრე სამების მონასტერს?
2. რის თქმა სურს მოხევეს სიტყვებით: „აწინა?. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნთ“?

**(2) 10. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.**
1. როგორ ხსნის საფარ-ბეგი ბათუს წინაშე თავის დანაშაულს?
2. ბათუს აზრით, რა მიაჩნია ქვეყანას „რჯულზე უფრო უმტკიცესად“?

**(2) 11. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“.**
1. მოხევეთა ტრადიციით, რა მოვალეობა ეკისრებოდა ხელისმომკიდეს პატარძლის მიმართ?
2. რატომ გადაწყვიტა ხელისმომკიდემ, რომ მარხილში მჯდომი პატარძლისაკენ არც კი გაეხედა?

**(3) 12. გაიხსენეთ ვაჟა ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“.**
1. რა მიზნით სურდათ ქისტებს საკუთარი მიცვალებულისათვის ზვიადაურის შეწირვა?
2. რა უთხრა ჯოყოლამ ცოლს, როდესაც გაიგო, რომ მან ზვიადაური დაიტირა?
3. როგორ შეაფასა თემმა ჯოყოლას დაღუპვა?

**(2) 13. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“.**
1. ისეთი რა გაახსენდა მეფე გიორგის, რამაც მამამზე ერისთავის მიმართ ნდობით განაწყო?
2. მამამზე ერისთავის რა თვისება ჩანს ახალი წლის მილოცვისა და ისრების გადაცემის ეპიზოდში?

**(1) 14. ლექსში „მშობლიური ეფემერა“ გალაკტიონ ტაბიძე წერს:**

„შეხავსებია კლდეები კლდეებს,
აქ ვილაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – კვლავ ვკითხავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!..“

რის სიმბოლოდ შეიძლება გავიაზროთ ამირანის მხატვრული სახე?

**(1) 15. გაიხსენეთ პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.**
1. როგორი ადამიანის განზოგადებული მხატვრული სახეა ყვარყვარე?
2. ქართული ხალხური ზღაპრის რომელ პერსონაჟს ენათესავება იგი?

**(2) 16. გაიხსენეთ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“.**
1. რატომ წერს ავტორი, რომ ალავერდობა „ინტერნაციონალური ხასიათისა“ იყო?
2. რა იწვევს მთავარი პერსონაჟის პროტესტს ალავერდობის დღესასწაულზე?

**(2) 17. ტიციან ტაბიძის ლექსში „ანანურთან“ ვკითხულობთ:**

„გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები“.

1. რის გამო შეიძლება ამ სტროფს წინასწარმეტყველური ვუწოდოთ?
2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული პირველ სტრიქონში?

**(2) 18. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ვასიკო კეჟერაძე ეუბნება ხელმძღვანელს:**

*„ – მე მაინც ვცდილობდი, ბოლომდე არ მეგრძნობინებინა თქვენთვის, მისალოცთათვის, ჩემი უპირატესობა და პოეზიაზე კრინტიც არ დამცდენია – გიფრთხილდებოდით...“*

1. ვის უწოდებს ვასიკო კეჟერაძე „მისალოცებს“?
2. რას გულისხმობს ვასიკო კეჟერაძე, როდესაც საკუთარ უპირატესობაზე საუბრობს?

## II. წერითი დავალება

**ინსტრუქცია:**

ყურადღებით გაეცანით დავალებას.

*თუ ნაშრომი მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული,* **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

**გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ.

*წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 30.*

**ყურადღებით წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „თოვლი“:**

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
ულონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.

თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!
არის გზა, არის ნელი თამაში...
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!
მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში
ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა!
მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლება,
მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში
და თმების ქარით გამოქროლება.
მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,
ვით უბინაოს – ყოფნა ბინაში...
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე.
თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

**ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ჯეიმზ ჯოისის მოთხრობიდან „მიცვალებულნი“:**

ქალს გულის ძილით ეძინა.

იდაყვზე დაყრდნობილი გებრიელი ერთხანს დასცქეროდა მის აწეწილ თმასა და ნახევრად დაღებულ პირს, ყურს უგდებდა მის ღრმა სუნთქვას. უკვე გადაჰყროდა გულიდან აღშფოთება და გაბოროტება. აი, თურმე როგორი რომანტიკული ამბავი შემთხვევია ცხოვრებაში: კაცი მისი გულისთვის მომკვდარა. თითქმის აღარ სწყინდა იმაზე ფიქრი, თუ როგორი უბადრუკი როლი უთამაშია თვითონ, ქმარს, საკუთარი ცოლის ცხოვრებაში. ისე შეჰყურებდა მძინარეს, თითქოს ცოლ-ქმარი არც არასოდეს ყოფილიყვნენ. მისი ცნობისმოყვარე მზერა დიდხანს დაჟინებით ათვალიერებდა ქალის სახესა და თმას. იმაზე ფიქრობდა, როგორი უნდა ყოფილიყო იგი მაშინ, ქალწულებრივი მშვენების გაფურჩქვნის ჟამს, და უცნაური, მეგობრული სიბრალული ეღვრებოდა სულში. თავის თავსაც არ უტყდებოდა, რომ ამ სახეს უკვე დაჰკარგვოდა უწინდელი მშვენება, მაგრამ იცოდა, ეს ის სახე აღარ იყო, რომლისთვისაც მაიკლ ფარეი სიკვდილს არ შეუშინდა.

იქნებ ქალს ყველაფერი არც უამბნია. თვალი სკამს მოხვდა, რომელზედაც უწესრიგოდ იყო მიყრილი ტანისამოსი. ქვედა

კაბის ზონარი იატაკზე ჩამოშვებულიყო. ცალი ფეხსაცმელი სწორად იდგა, რბილი ყელი გვერდზე გადაჰკეცოდა; მეორე ფეხსაცმელი იქვე ეგდო...

ოთახში გრილოდა და მხრებზე შესცივდა. ფრთხილად ჩაიწია საბანქვეშ, ცოლს გვერდით მიუწვა.

დღეს ერთი, ხვალ სხვა, საბოლოოდ კი ყველანი ჩრდილად იქცევიან. უმჯობესია, ვაჟკაცურად დასტოვო საწუთრო და ვნებით გულაღგზნებული წახვიდე იმქვეყნად, ვიდრე წლიდან წლამდე დაჭკნე, საწყალობლად დაჩაჩანაკდე. თურმე რამდენ წელს უტარებია გულში ამ ქალს, ახლა რომ მის გვერდით იწვა, თვალები თავისი მკვდარი სატრფოსი, თვალები მაშინდელი, როცა ყმაწვილი სიცოცხლეზე ამბობდა უარს.

დიდსულოვნების ცრემლები ჩაუდგა თვალებში. თვითონ არასოდეს განუცდია მსგავსი რამ, არც ერთ ქალს არ გაუღვიძებია მის გულში ასეთი გრძნობა. მაგრამ იცოდა, სწორედ ეს იყო სიყვარული. ცრემლებმა მზერა დაუბინდა და ამ ბინდში თვალწინ წარმოუდგა ხატება გაწუწული ხის ქვეშ ატუზული ბიჭისა. იქვე სხვა ჩრდილებიც ისახებოდნენ. სული მისი იმ ზღვარს მიეახლა, რომლის მიღმა საიქიოს ბინადარნი სუფევდნენ. გრძნობდა, თუმც ვერ ჩასწვდომოდა მათს რიალსა და ცვალებადობას.

მისი საკუთარი არსება, მისი მეობა მთლიანად გაქრა, განქარდა ამ რუხ, მოუხელთებელ სამყაროში. ხილული, ხელშესახები სამყარო, რომელსაც ეს მიცვალებულნი ოდესღაც თვითონ ქმნიდნენ და აშენებდნენ, სამყარო, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ, თანდათანობით მქრქალდებოდა, იცრიცებოდა, და ბოლოს სულ მთლად უჩინარდებოდა.

მსუბუქმა შრიალმა ფანჯრისკენ მიახედა. ისევ დაიწყო თოვა. თვლემამორეული გასცქეროდა ვერცხლისფერ და მუქ ფიფქებს, ცერად რომ მოფრინავდნენ ფარნის სინათლეში. მასაც უწია დაღმა სვლის ჟამმა. დიახ, გაზეთები მართალს წერდნენ: მთელ ირლანდიაში თოვდა. თოვდა ჩაბნელებულ ცენტრალურ ვაკეზე, ათოვდა უტყეო ბორცვებს, თოვლი ლბილად ეფინებოდა ალენის ჭაობებს, უფრო შორს, დასავლეთით, მსუბუქად ეშვებოდა შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში. ათოვდა ეულ სასაფლაოს პატარა ბორცვზე, სადაც მაიკლ ფარეი განისვენებდა. თოვლი სქლად დასდებოდა წაფერდებულ ჯვრებსა და სამარის ქვებს, დაბალი ჭიშკრის ბოძებს, ეკლიან ბუჩქებს.

სმენას სწვდებოდა მსუბუქი ჩქამი და სული მისი ნელ-ნელა ინთქმებოდა თოვლის შრიალში... ათოვდა მთელ დედამიწას, როგორც მოახლოება აღსასრულის ჟამისა; წყნარად ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც.

*(ინგლისურიდან თარგმნა **ლია იმერლიშვილმა**)*

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ, რა არის გალაკტიონ ტაბიძის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა არის ჯეიმზ ჯოისის ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გამოხატული.
- იმსჯელეთ, რა აქვს ამ ორ ტექსტს საერთო და რა განასხვავებს მათ.

**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

# მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები და მათი განმარტება

### შეფასების კრიტერიუმების განმარტება

**I კრიტერიუმი** აფასებს კითხვის უნარს. აბიტურიენტს მოეთხოვება მოცემული ტექსტის ადეკვატური გაგება. შესაბამისად, ქულებიც იმის მიხედვით იწერება, რამდენად ღრმად გაიაზრა აბიტურიენტმა ავტორის მთავარი სათქმელი და მიზანდასახულობა.

**II კრიტერიუმი** აფასებს, რამდენად კარგად არის ორგანიზებული (მოწესრიგებული) ტექსტი, დაყოფილია თუ არა აბზაცებად. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, მსჯელობის თანამიმდევრულობასა და სიმწყობრეს გულისხმობს. აბიტურიენტს იმ შემთხვევაში აკლდება ქულა, თუ ნაშრომი საერთოდ არ არის დაყოფილი აბზაცებად ან ყოველი სტრიქონი აბზაცით იწყება; ასევე, თუ სათანადოდ არ არის ორგანიზებული (მაგალითად, პოეტური ტექსტის ციტირებისას ლექსის სტრიქონები პროზაული ტექსტის მსგავსად არის მოცემული). ამ კრიტერიუმით ფასდება ისიც, თუ რამდენ მითითებას უპასუხებს ნაშრომი * სამივეს, ორს თუ ერთს.

**III კრიტერიუმი** აფასებს იმას, რამდენად ადეკვატურად არის გააზრებული დავალების პირობა. აბიტურიენტს ევალება შეასრულოს ის კონკრეტული დავალება, რომელიც მითითებებით არის განსაზღვრული. აბიტურიენტს ქულა დააკლდება საკითხიდან გადახვევის ან შეუსაბამო ფაქტებისა თუ მოსაზრებების დამოწმების შემთხვევაში (მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ მსჯელობისას აბიტურიენტმა დაიმოწმა ამერიკელი მწერლის, ჰენრი ტოროს, მოსაზრება, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა დავალების პირობასთან).

**IV კრიტერიუმი** აფასებს, რამდენად კარგად არის სათქმელი დასაბუთებული და გამყარებული ტექსტური მასალით. ეს კრიტერიუმი გულისხმობს აბიტურიენტის მოსაზრებების კონკრეტული მაგალითებით დასაბუთებას, აგრეთვე იმასაც, რომ არგუმენტები მყარი და დამაჯერებელი იყოს, თუმცა არ არის სავალდებულო, ემთხვეოდეს საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს.

**V კრიტერიუმი** აფასებს ტექსტის მხატვრული თავისებურებების აღქმის უნარს, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ტროპული მეტყველების ნიმუშების ამოკრებას მოცემული ტექსტიდან, არამედ, პირველ რიგში, ავტორის ინდივიდუალური სტილის შესახებ მსჯელობას.

**VI კრიტერიუმი** აფასებს, რამდენად ნათლად და მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება; ანუ ეს კრიტერიუმი გულისხმობს იმას, რომ აბიტურიენტმა უნდა შეძლოს ინდივიდუალური თვალთახედვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება. ამ კრიტერიუმით აბიტურიენტი ვერ დაიმსახურებს ქულას, თუ დაწერს ე. წ. ტრაფარეტულ, დაზეპირებულ თხზულებას ან თუ ვერ გამოავლენს წიგნიერებას, რაც სულაც არ ნიშნავს ლიტერატურული პარალელების გავლებასა და არასაპროგრამო ნაწარმოებების ციტირებას. პირიქით, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეუსაბამო პარალელი ან შეუფერებელი ციტატის დამოწმება ქულის დაკლებას გამოიწვევს.

**VII კრიტერიუმი** ფაქტობრივი სიზუსტის შეფასებას ითვალისწინებს, ანუ იმის განსაზღვრას, არის თუ არა დაშვებული ნაშრომში ფაქტობრივი შეცდომები.

**VIII კრიტერიუმი** აფასებს, რამდენად შეძლო აბიტურიენტმა აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე, დასმული ამოცანის ადეკვატური სტილის შერჩევა. ეს კრიტერიუმი იმასაც გულისხმობს, რომ ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს სალიტერატურო ენით, არ გვხვდებოდეს დიალექტიზმები, ბარბარიზმები, ჟარგონული სიტყვები და გამოთქმები (მაგ., მოღალატემ ქართველები ჩაუშვა); ადეკვატურად უნდა იყოს შერჩეული ლექსიკა; აბიტურიენტს უნდა შეეძლოს მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებების გამოყენება, რაც თავიდან ააცილებს ტავტოლოგიებს, უხეშ კალკებს (მაგ., არ უნდა იყოს გამოყენებული კანცელარიზმები). გარდა ამისა, ხარვეზად ჩაითვლება მაღალფარდოვნება და ფუჭსიტყვაობა.

**IX კრიტერიუმი** აფასებს, რამდენად შეძლო აბიტურიენტმა სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა და სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.

**X კრიტერიუმი** აფასებს პუნქტუაციის წესების ცოდნას.

### მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **30**. თუ აბიტურიენტის ნაშრომი მოცემული ტექსტის პერიფრაზია, თითოეული მითითება მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანად არაადეკვატურადაა გაგებული (ანდა გაურკვეველი კალიგრაფიის გამო ნაშრომის წაკითხვა ვერ ხერხდება), ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

დავალების ესა თუ ის მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

*ნაშრომი, რომლის მოცულობაც 120 სიტყვას არ აღემატება, VIII, IX და X კრიტერიუმებით არ შეფასდება!*

I კრიტერიუმი

| № | *მოცემული ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | ტექსტი ***ღრმადაა*** გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა. | 4 |
| 2. | ტექსტი ***ადეკვატურადაა*** გაგებული. | 3 |
| 3. | ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება ტექსტის არაადეკვატური გაგება. | 2 |
| 4. | ***ერთზე მეტ*** შემთხვევაში ტექსტი ***არაადეკვატურადაა*** გაგებული. | 1 |
| 5. | ტექსტი ***მთლიანად არაადეკვატურადაა*** გაგებული. | 0 ნაწერი აღარ სწორდება |

II კრიტერიუმი

| *№* | ნაშრომის აგება | ქულები |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და ***კარგადაა ორგანიზებული***, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი. | 3 |
| 2. | ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ტექსტი არ არის კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი***; ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი. | 2 |
| 3. | ნაშრომი უპასუხებს **ორ** მითითებას, თუმცა **ტექსტი არ არის** კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი***; ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი. | 1 |
| 4. | ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ***ტექსტი არ არის*** ორგანიზებული ან/და აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი. | 0 |

III კრიტერიუმი

| *№* | *დავალების (მითითებების) ადეკვატური გაგება და გააზრება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | დავალება ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, არ არის საკითხიდან გადახვევის არც ერთი შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომლებიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება). | 2 |
| 2. | დავალების პირობა ძირითადად ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ***არაადეკვატური*** გაგება ან არის საკითხიდან გადახვევის ერთი შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომელიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება). | 1 |
| 3. | დავალების პირობა ***არაადეკვატურადაა*** გააზრებული. | 0 |

IVკრიტერიუმი

| *№* | *მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** (არგუმენტირებულია) და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით. | 6 |
| 2. | მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით. | 5 |
| 3. | მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული). | 4 |

## ერთიანი ეროვნული გამოცდები — 2019

| | | |
|---|---|---|
| 4. | მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით. | 3 |
| 5. | მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული). | 2 |
| 6. | ***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით. | 1 |
| 7. | ***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული. | 0 |

### V კრიტერიუმი

| № | *ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია***; ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება და ყველა დამოწმებული მაგალითი ***ადეკვატურია***. | 4 |
| 2. | მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია*** და ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება, თუმცა ერთ შემთხვევაში მაგალითი ***არასწორადაა*** დამოწმებული. | 3 |
| 3. | მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია***; ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებებიც, თუმცა ერთზე მეტ შემთხვევაში მაგალითები ***არასწორადაა*** დამოწმებული; ანდა ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, თუმცა ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება და ***დასაბუთებულია*** კონკრეტული მაგალითებით. | 2 |
| 4. | ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება და ***დასაბუთებულია*** კონკრეტული მაგალითებით, თუმცა მოხმობილი მაგალითებიდან ***ერთი არაადეკვატურია***; ანდა მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია***, თუმცა არ არის მოხმობილი ***არცერთი*** კონკრეტული მაგალითი. | 1 |
| 5. | ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ ***არ არის*** დასაბუთებული ***არცერთი*** კონკრეტული მაგალითით; ანდა ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ მსჯელობისას მოხმობილია ***ერთზე მეტი*** არაადეკვატური მაგალითი; ანდა ნაშრომში საერთოდ ***არ არის*** მსჯელობა ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ. | 0 |

### VI კრიტერიუმი

| № | *დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება. | 3 |
| 2. | ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება. | 2 |
| 3. | ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება. | 1 |
| 4. | ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება. | 0 |

### VII კრიტერიუმი

| № | *ფაქტობრივი სიზუსტე* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა. | 1 |
| 2. | ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა. | 0 |

### VIII კრიტერიუმი

| № | ლექსიკა და სტილი | ქულები |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის ***შესაფერისი სტილი***, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი. | 2 |
| 2. | ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ***ლექსიკა მწირია***, გვხვდება სტილისტური ხარვეზებიც. | 1 |
| 3. | თხზულება სტილისტურად ***გაუმართავია*** (ზოგიერთი მონაკვეთის აზრის გაგება ჭირს). | 0 |

### IX კრიტერიუმი

| № | *მორფოლოგია-ორთოგრაფია და სინტაქსი* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | არ არის ***ორზე მეტი*** შეცდომა. | 3 |
| 2. | არ არის ***ოთხზე მეტი*** შეცდომა. | 2 |
| 3. | არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა. | 1 |
| 4. | დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა. | 0 |

### X კრიტერიუმი

| № | *პუნქტუაცია* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | არ არის ***სამზე მეტი*** შეცდომა. | 2 |
| 2. | არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა. | 1 |
| 3. | დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა. | 0 |

# გეოგრაფიის გამოცდის დავალებების ნიმუში

**1. (1) რა არის ნაჩვენები მოცემულ ილუსტრაციაზე?**



სწორი პასუხის ნიმუში:

*ილუსტრაციაზე მოცემულია დედამიწის სითბური ბალანსის სქემა.*

**2. (2) გააანალიზეთ ფოტო და უპასუხეთ კითხვებს:**



**2.1.(1) რომელი მოვლენაა ასახული მოცემულ ფოტოზე?**

სწორი პასუხის ნიმუში:

*ფოტოზე ნაჩვენებია ზვავი.*

**2.2.(1) დაასახელეთ ბუნებრივი ფაქტორი, რის გამოც წარმოიქმნება აღნიშნული მოვლენა.**

სწორი პასუხის ნიმუში:

*ტემპერატურის უეცარი მატება / უტყეო ციცაბო ფერდობი / ინტენსიური თოვა.*

**3. (3) გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:**

ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის სექტორების მიხედვით სათბურის აირების ემისიის წილის ცვლილება ქვეყნის მთლიან ემისიაში (მიწათსარგებლობის გარდა), 1990-2011 წწ.




**3.1.(1) ეკონომიკის რომელი სექტორია დომინანტი სათბურის აირების ემისიების თვალსაზრისით?**

სწორი პასუხის ნიმუში:

*ემისიის თვალსაზრისით დომინანტია ენერგეტიკა.*

**3.2. (2) აღწერეთ მრეწველობის ემისიების წილის ცვლილება 1990-2011 წლებში და ახსენით ამის გამომწვევი მიზეზები?**

სწორი პასუხის ნიმუში:

*1990-ნი წლებიდან იკლებს მრეწველობის და იზრდება სოფლის მეურნეობის ემისიის წილი, რაც დაკავშირებულია სსრკ დაშლასთან, საქართველოში ენერგეტიკულ კრიზისთან და მრეწველობის შეჩერებასთან. 2007 წლიდან იწყება ვითარების მეტ-ნაკლები სტაბილიზაცია და იზრდება მრეწველობის წილი. შესაბამისად, ენერგეტიკის შემდეგ, მეორე ადგილს კვლავ იკავებს მრეწველობის სექტორი.*

**4. (4) გააანალიზეთ ერთ-ერთი ქალაქის კლიმატური დიაგრამა და უპასუხეთ კითხვებს:**

ქალაქის კლიმატური დიაგრამა




**4.1.(1) რომელ ნახევარსფეროში მდებარეობს (ჩრდილოეთში თუ სამხრეთში) მოცემული ქალაქი?**

სწორი პასუხის ნიმუში:

*ქალაქი მდებარეობს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.*

**4.2. (1) უმეტესწილად, რომელი ტიპის ატმოსფერული ნალექი მოდის ქალაქში?**

სწორი პასუხის ნიმუში:

*ქალაქში ყველაზე ხშირად მოდის თოვლი.*

**4.3. (1) რომელ თვეში ფიქსირდება ატმოსფერული ნალექების მინიმალური რაოდენობა?**

სწორი პასუხის ნიმუში: *მაისში.*

**4.4.(1) რას უდრის ქალაქში საშუალო წლიური ტემპერატურა? აუცილებლად უჩვენეთ გამოთვლის პროცესი.**

სწორი პასუხის ნიმუში:

(-14.6+ (-14.5)+(-13.7)+(-9.8)+(-5.2)+3.4+6.5+4+ (-3.8)+(-8.9)+(-12.9)+(-14.2))/12= -6.97°C

**შემდეგში შემოგთავაზებთ უცხოური ენების დავალებების ნიმუშებს**

ქართული ენის სწავლებისათვის

# ახალი გზების ძიება შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის

*ამ სტატიის წერა რომ დავიწყე, თენგიზ ჩანტლაძის ცნობილი სკეტჩი გამახსენდა, პერსონაჟს, ხახვისა და ლეღვის მყნობის საფუძველზე, ექსპერიმენტული ჯიშის ხილი რომ გამოჰყავდა. რატომაც არა! არის ამაში რაღაც კრეატიული და შემოქმედებითი! (ეს ისე, ხუმრობით!)*

*მინდა, ამგვარი „მყნობის“ შედეგები, ჩემი მოსწავლეების (VI-VII კლ.) ნამუშევრები გაგაცნოთ:*

### სამწერტილი

*„სამწერტილი... ეს იქნება დღევანდელი ესეს სათაური, – თქვა მასწავლებელმა, მე კი თავზარი დამეცა:*

*– რა დავწერო?! როგორ დავწერო?! რა შეიძლება ვიგულისხმო?.!.. მეცინება ჩემთვის! ხან თითქოს მუზა მომივა, მაგრამ ვერაფერს ვწერ.*

*მოდი, მოკლედ ვიტყვი: სამწერტილი ზოგისთვის სამი წერტილია, ზოგისთვის კი – მთელი აზრი. ზოგიერთი ადამიანის ცხოვრება ჰგავს სამწერტილს, რადგან არის დაუსრულებელი, ზოგიერთის კი – დასრულებული, ანუ წერტილდასმული. წერტილი წარსულია, სამწერტილი კი მომავალი, ჩემი მომავალი...“*

### სამწერტილი

*„მე ვინ ვარ?! სასვენი ნიშანი! ჩემზე ამბობენ, განსაკუთრებულიაო. დიდი არაფერი, როგორც ყველა სასვენი ნიშანი, ისეთივე ვარ მეც. დაუსრულებელ წინადადებასთან მსვამენ, მაგრამ მაინც დასრულებული აზრი გამოდის. მოსწავლე თემაში რომ გამომიყენებს, ასე აღმნიშნავს „...“ და ამის გამო მასწავლებელი აქებს. არ ვიცი, რატომ! ალბათ, იმიტომ რომ განსხვავებულად  ამბობს სათქმელს. ხანდახან, თუ წინადადების შინაარსი მოითხოვს, ჩემ წინ ძახილის ან კითხვის ნიშანსაც სვამენ. აი, მაშინ უნდა ნახოთ, როგორი გრძნობების გამოხატვა შემიძლია!“*

### სამწერტილი

*„ერთი, ორი, სამი! – დავსვი ეს შავი, პაწია ძმები და ამით დავასრულე წერა. მას ხშირად ვიყენებ, არ გიცდიათ ამ ძმების საშუალებით, ამ პაწია წერტილებით შეწყვეტილი აზრის გაგრძელება? ეს სამი წერტილი სადაც არის, ისეა აზრი დამალული, ისე არის ჩაქსოვილი, რომ უნდა გაანგრიო, გაარღვიო და ამოიღო მნიშვნელოვანი ამბავი თუ აზრები. ეს სამი წერტილი ოჯახია, აი ისეთი, როგორიც ყველა ადამიანს აქვს: პირველი დედაა, მეორე – მამა და მესამე – შვილი, ერთ ოჯახად შეკრული სამი წერტილი.“*

### რიცხვითი სახელი

*„ – 1-ლი, მე-2, მე-3... – ითვლის ხალხი.*

*– და რა ხდება?!*

*– რა და, რაღაც კარგი ამბავია!*

*– მაინც რა?!*

*– ცნობილი მუსიკოსის კონცერტია. ზოგი ამბობს: თქვენი ადგილი 1-ლი რიგის მე-15 სკამია, თქვენი კი – 21-ე რიგის 25-ე და 26-ე. ყველა გაიძახის: აბა, როდის დაიწყება კონცერტი? უკვე ხომ 4 საათიაო!*

*გვეყო ახლა ამაზე საუბარი. ალბათ მიხვდით, რამდენად საჭირო მეტყველების ნაწილი ვარ მე, რიცხვითი სახელი ! ადამიანები როდესაც მახსენებენ, ზოგს სწყინს, ზოგს – უხარია. მაგალითად, სწყინთ, როდესაც იგებენ, რომ ორი ადამიანი გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში. უხარიათ მაშინ, როდესაც ამბობენ: 1000 ლარი ავიღე. მაგრამ მაინც ვწუხვართ, რადგანაც ამ ფულის უმეტესობას ვიხდით სხვადასხვა ვალებში და გვრჩება მხოლოდ 10 ლარი, ზოგჯერ ისიც არა. მე რომ არ ვყოფილიყავი, იქნებოდა ქაოსი. ადამიანები ერთმანეთს ვერ შეატყობინებდნენ, თუ რომელი საათია. ვერ გავაგებინებდით ხალხს საქართველოს ისტორიას, იმას, თუ რომელი მოვლენა რომელ წელს მოხდა. აღარც წლები არ იარსებებდა, აღარც – საუკუნეები, არც – დრო და არც ჩვენ ვიქნებოდით მე-6 კლასში. ასეთია ჩემი ცხოვრება და კარგია, რომ ვარსებობ.“*

### წერტილი

*„გათენდა. მზე ამოვიდა. თითქოს ზღვის პირას იჯდა ვიღაცა. თითქოს კი არა, ეს მე ვიყავი. ვიღაც ფანჯრიდან მიცქეროდა, როგორ ვიჯექი და ვწერდი. დიდი დრო გავიდა. იმ ქალმა ისევ გადმოიხედა, მე თითქოს რაღაც ვიგრძენი და უკან მივიხედე შეშფოთებულმა. ის ქალი ისევ იყურებოდა. ვიფიქრე, ალბათ ცნობისმოყვარობამ სძლია-მეთქი. მივბრუნდი. ჩავრგე თავი რვეულში და განვაგრძე წერა. ისევ დიდი დრო გავიდა. მე მაინც იქ ვიჯექი. ეს ზღვის ტალღები მაძლევდნენ მუზას წერისთვის. ხმა მომესმა: „წამოდი, წამომყევი! ჰე, მიდი!“ ავდექი და გავყევი ამ ხმას. შევედი წყალში, წყალმა უფრო და უფრო შემიტყუა. ჩავყვინთე, ვერ ვმოძრაობდი. კინაღამ დავიხრჩე. უცებ გამოჩნდა რაღაც შავი ბურთი, მე წერტილი მქვიაო. ჩავჭიდე ხელი და გადამარჩინა. ისევ ზღვის ნაპირას დავჯექი და წერა განვაგრძე. გავიფიქრე: არა, კარგ დროს მოვიდა ეს წერტილი-მეთქი. სანაპიროს გავუყევი. გამოვბრუნდი უკან. ახლა, იმ ქალის ნაცვლად, წერტილი მიყურებდა. ღიმილით მომაძახა: კარგია, თუ მიხვდი ჩემს გამოყენებას!“*

### წერტილ-მძიმე

*„ – გამარჯობა, რა გქვია?*

*– მძიმე.*

*– მძიმე?! რატომ? მძიმე ტვირთს ატარებ? (სიცილი)*

*– და შენ რა გქვია ?*

*– ძახილის ნიშანი.*

*– ო, რა კარგი სახელია! ალბათ კარგი მნიშვნელობა აქვს?*

*– კი. ხან მხიარული ვარ, ხან – მოწყენილი,ზოგჯერ კი  – ბოროტი.*

*– აუ, არ მჯერა!*

*ამ სიტყვების გაგონებაზე მძიმე ძახილის ნიშანზე უნდა გაბრაზებულიყო, მაგრამ რატომღაც შეეშინდა მისი სიმაღლის და ჯავრი პატარა წერტილზე იყარა:*

*– ოხ, შენ, შავო წერტილო, პატარა ხარ. შენ უჩემოდ ვერც კი იარსებებ, სულ ჩემს შემდეგ ხარ. მე ვარ პირველი! აბა, გადახედე, სად ხარ შენ და სად  – მე.*

*წერტილმა ამოყო თავი ფურცლიდან, დახედა და თქვა: ის მართალია! გულდაწყვეტილი წავიდა, მაგრამ მძიმე მივიდა მასთან და ჩაეხუტა, სიცილით უთხრა:*

*– გეხუმრე, ბოდიშს გიხდი!*

*.............*

*ჯერ იყო მძიმე, შემდეგ – წერტილი. ხოლო ჩახუტების შედეგად გაჩნდა წერტილ-მძიმე.“*

### წერტილი

*„წკაპ! – დაისვა წერტილი.*

*წკაპ! – გაფუჭდა კალამი და ჩემნაირი ლამაზი დედოფალი დააბინძურა. წერტილს კი არა, უკვე რაღაც გველს ვგავარ.*

*ფხრიწ! –  დაიხა ფურცელი.*

*დაიწყო წერა თავიდან ბავშვმა.*

*წკაპ! – დასვა წერტილი.*

*უკვე ძალიან ლამაზი ვარ. წერტილი გამოუსადეგარი არაა. ხომ საჭირო ვარ? სხვებივით ხომ არ ვარ? მე ყოველთვის ვარსებობდი და  ვარსებობ, არ გადავშენებულვარ დინოზავრებივით. ერთხელ მშვენიერი ბიჭი დავინახე, მწერალი იყო. ვუყურებდი, რა კარგ ნაწარმოებებს წერდა. ამ ადამიანის სახელს არ ვიტყვი, რადგან სხვებს ეწყინებათ (ყველა არსებამ უნდა იზრუნოს სხვაზე). ერთი საუკეთესო მეგობარი მყავს, კითხვითი ნიშანი, მას ისეთი კილო აქვს!.. ძახილის ნიშანიც ჩემი მეგობარია, კითხვით-ძახილისაც, წერტილ-მძიმეც, ორწერტილიცა და სამწერტილიც. ცოტა ტირე დგას განცალკევებით.*

*მე დავიბადე დედამიწაზე, გავიზარდე ფურცლებზე. თავიდან, I კლასში, რომ იცოდეთ, უფრო დიდი ვიყავი, რადგანაც პატარა ბავშვებს არ შეეძლოთ გაეკეთებინათ პატარა წერტილი. შემდეგ და შემდეგ ხანებში კი... თქვენც მიხვდებით.*

*წარმოვიდგინოთ, არ არის წერტილი, ანუ ხალხი არ იქნებოდა განათლებული, რადგანაც არ დამთავრდებოდა აზრები წიგნებში და ვერაფერს გაიგებდნენ.*

*დავასრულოთ ახლა და დავსვათ წერტილი.“*

### კითხვით-ძახილის ნიშანი

*„ძველ დროში, როცა ხალხმა სასვენი ნიშნების წერა არ იცოდა, იყო ერთი გამომგონებელი, სახელად ბაინშტაინი. სწორედ მან შექმნა სასვენი ნიშნები და აუხსნა ყველას, სად და როგორ გამოეყენებინათ. ხალხს მოეწონა. აზრს უფრო გასაგებად გადმოსცემდნენ.*

*სასვენ ნიშნებსაც მოსწონდათ თავიანთი საქმე, ოღონდ მეცნიერმა კითხვითი და ძახილის ნიშნები ცალკ-ცალკე რომ დაწერა, ისინი ახმაურდნენ, გაბრაზდნენ, რატომ ერთად არ დაგვსვესო. მაგრამ ეს ნიშანი ხომ ჯერ არ გამოუგონიათ?! რას ბრაზობ?!  (აი, სწორედ ასეთ წინადადებაშია საჭირო ორივე ნიშანი ერთად.)*

*– შენ ჩემ გვერდით გადმოხტი! – დაუძახა კითხვითმა ძახილის ნიშანს. ისიც გადახტა და მის გვერდით დახტა. მიხვდა ბაინშტაინი, რომ კითხვითი და ძახილის ნიშნების მერე კითხვით-ძახილის ნიშანიც უნდა მოეგონებინა.“*

### კითხვითი ნიშანი

*„ეჰ, მასწავლებელმა უკვე მოგვაწყინა თავი სასვენი ნიშნებით! ახლა ნეტა რას მოგვცემს? კითხვითი ნიშანიოო? ეს რაღაც საინტერესოა! გააჩნია, რას დავწერთ, რომელ სტილს ავირჩევთ და, რაც მთავარია, როგორ მოვაწონებთ თავს მასწავლებელს.*

*– თემის წერა უკვე დაიწყეთ? –  გვკითხა მასწავლებელმა.*

*(ნეტა ის კითხვითი ინტონაცია რატომ გამოხატა? )*

*– დავიწყეთ, აბა რა! ჩემთვის მალევე გასაგები გახდა, რა უნდა დამეწერა.*

*დღეს, როცა სახლიდან გამოვედი, დედას ვკითხე:*

*– გარეთ როგორი ამინდია?*

*– კარგიო! – მიპასუხა.*

*გზაში შემხვდნენ ბავშვები.*

*– დღეს ნეტა რუსულში რთული წერა იქნება?*

*უი, დღევანდელ თემაში ბევრი კითხვითი ნიშანი გამოვიყენე. ალბათ, იმიტომ რომ ზუსტად დღევანდელი თემა ამ ნიშანს ეხება.“*

* * *

ახლა კი, ცოტა შორიდან დავიწყებ და გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას.

უნდა ვაღიაროთ, მიუხედავად ჩვენი მონდომებისა და მცდელობისა, მოსწავლეებს უჭირთ წერილობითი ტექსტების შექმნა, ორგანიზების წესებისა და წერის ნორმების დაცვა, რაც ითვალისწინებს აბზაცისა და სხვა სტრუქტურული მახასიათებლების, მართლწერისა და პუნქტუაციის წესების გამოყენებას. მათი წერითი მეტყველების კულტურა დაბალია: მწირი ლექსიკა, მარტივი, მოკლე წინადადებები, „მესიჯების“ ენა.

მიზეზების კვლევამ შემდეგ საკითხებზე დამაფიქრა:

*1. რამდენად სწორად მაქვს შერჩეული მეთოდები წერის სწავლებისთვის?*

*2. რამდენად ვითვალისწინებ მოსწავლეთა მზაობასა და მათ შესაძლებლობებს წერის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის?*

*3. რამდენად ვითვალისწინებ მოსწავლეთა აზრს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას?*

მივხვდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მასტიმულირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, სწავლების პროცესის გახალისება, გართობით სწავლა, უნიშნო აქტივობები და სხვა. ჰოდა, გზა, ხერხი, საშუალება, რომელიც აღმოვაჩინე თუ აღმომაჩინა ან აღმომაჩენინა თავი („ლექსი თვითონ მწერს“ სტილში), საოცრად ეფექტური აღმოჩნდა დასახული მიზნის მისაღწევად, ესაა:

- ქართული გრამატიკის სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინება, ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც მოსწავლეებს გაუადვილებს მის ათვისებას;
- გრამატიკული მოვლენების ახსნა, გრამატიკული ცნებების გააზრება და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება;
- წერის კულტურის გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე დაყრდნობით ეფექტური, შემოქმედებითი სასწავლო გარემოს შექმნა;
- სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის აქტიური და ხალისიანი ჩართვა;
- მოსწავლეებში შესწავლილი საკითხის მიმართ ცნობისმოყვარეობის გაღვივება.

მოკლედ, მოსწავლეებს შევთავაზე ისეთი ესეების შექმნა, რომლებიც, ერთი მხრივ, ბიძგს აძლევს მათი წარმოსახვის უნარისა და ფანტაზიის განვითარებას, მეორე მხრივ, საშუალებას, გაიაზრონ და გაიაქტიურონ შესწავლილი. ასე შეიქმნა: „წერტილი“, „სამწერტილი“, „მძიმე“, „წერტილ-მძიმე“, „კითხვითი ნიშანი“, „არსებითი სახელი“, „ზედსართავი სახელი“, „რიცხვითი სახელი“, „ნაცვალსახელი“, „პირიანი და უპირო ზმნები“, „ჩართული“... ამას მოჰყვა სხვა სახის თემატიკა: „კალამი“, „სათვალე“, „საქანელა“, „მზის სხივს ჩავეჭიდები“, „პირველად იყო სიტყვა“... და სხვა და სხვა. ერთად შევიმუშავეთ ესეს შეფასების კრიტერიუმები. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ინდივიდუალურ მიდგომასა და პირადი დამოკიდებულების გამოხატვას, ორიგინალურობას, შემოქმედებითობას, მხატვრული ხერხების გამოყენებას, პირველ პირში თხრობასა და ა.შ. გაკვეთილზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ურთიერთშეფასება და თვითშეფასება, მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა.

ყველაზე მთავარი მაინც ისაა, თუ რა გზა გავიარეთ იქამდე, სანამ ჩემი მოსწავლეები თვითონ შეძლებდნენ წერას. ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ ტექსტის მხატვრულ ანალიზს, კონკრეტულად:

I. შევარჩიე რამდენიმე მეთოდი, რომლებიც, ჩემი აზრით, საუკეთესოა წერითი კულტურის განვითარებისთვის, მაგალითად:

✔ **ორიენტირებული კითხვა** – მოსწავლე გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ; ავლენს ეთიკური და ესთეტიკური შეფასების, თვითგამოხატვის სურვილს; ხელი ეწყობა ეფექტური კითხვისა და გაგებისთვის საჭირო (კრიტიკული აზროვნების, კითხვების დასმის, ვარაუდების გამოთქმის, არგუმენტირებული მსჯელობის) უნარების განვითარებას.

✔ **სიტუაციის მოდელირება –** მოსწავლეს უყალიბდება შემოქმედებითი, ანალიტიკურ-კოგნიტური, თანაგანცდის უნარები; სწავლობს შეფასებას.

✔ **რეიტინგი** – მოსწავლეს უყალიბდება გემოვნება; უვითარდება ანალიტიკური აზროვნება.

✔ **ორმხრივ ჩანაწერთა დღიური/ვენის დიაგრამა/შედარების მატრიცა** – მოსწავლე ვიზუალურად აღიქვამს ორ საგანს ან მოვლენას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებას; ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას; ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას; უვითარდება შედარება-შეპირისპირებისა და სინთეზის უნარი.

{*******ამ მეთოდების აღწერისაგან თავს ვიკავებ, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რა უნარებს ავითარებს თითოეული მათგანი. ასევე, დავსძენ, რომ, რა თქმა უნდა, მხოლოთ მათით არ შემოვიფარგლებით გაკვეთილებზე.}

II. ტექსტის მხატვრულ ანალიზთან დაკავშირებით ვსვამ შემდეგი ტიპის კითხვებს:

❖ რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი სათქმელის გადმოსაცემად?

❖ რა განაპირობებს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას?

❖ ავტორი სათქმელს პირდაპირ გადმოსცემს თუ მეტაფორულად?

❖ როგორია ავტორის თხრობის მანერა?

❖ ტროპის რომელ სახეებს იყენებს ავტორი და არის თუ არა ეს სახეები ორიგინალური?

❖ იყენებს თუ არა ავტორი ფრაზეოლოგიზმებს?

## ქართული ენის სწავლებისათვის

❖ რა ემოცია მოაქვს ჩვენამდე ავტორს?

❖ როგორ, რისი საშუალებითაა სათქმელი მოტანილი მკითხველამდე?

❖ და სხვ.

III. ხშირად ვიყენებ კოგნიტურ სქემებს:

ცხრილი

| ეპითეტი | შედარება | მეტაფორა | გაპიროვნება |
|---|---|---|---|
| | | | |

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური

| მხატვრული ხერხი | კომენტარი |
|---|---|
| | |

IV. მოსწავლეებს ვავალებ, შესწავლილი ტექსტებიდან საკუთარი გემოვნებით ამოიწერონ ყველაზე ლამაზი ფრაზები თუ წინადადებები და, შეძლებისდაგვარად, დაიმახსოვრონ ისინი, გამოიყენონ თავიანთ ესეებში.

V. ესეს შექმნისას გავდივართ წერისთვის მოსამზადებელ ყველა ეტაპს:

1. იდეების გენერირება (დღიური, გარშემომყოფებზე დაკვირვება, თავისუფალი წერა, გონებრივი იერიში, დაჯგუფება, კითხვები...);
2. მონახაზი (წერის პროცესი);
3. გადასინჯვა (რევიზირება/გადამუშავება: ა) დამატება, ბ) შემოკლება, გ) ჩანაცვლება, დ) მასალის თანმიმდევრობის შეცვლა);
4. რედაქტირება (შინაარსი, კორექტურა).

სწავლის პროცესი გახდა სახალისო. დავიწყე გაკვეთილზე შექმნილი საუკეთესო ესეების გამოქვეყნება facebook-ზე. ფაქტია, რომ ჩვენი მოსწავლეები ბევრ დროს ატარებენ სოციალურ ქსელში. გადავწყვიტე, დავხმარებოდი მათ ამ მისწრაფების მიზნობრივად გამოყენებაში. ისიც გავითვალისწინე, რომ ეს საუკეთესო საშუალება იქნებოდა მათთან იმ საკითხებზე მუშაობაში, რაც კლასში ვერ მოვასწარით და დაუსრულებელი დაგვრჩა. საოცარი შედეგი მივიღე. იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ყოველი ახალი გაკვეთილი იწყებოდა შეკითხვით: „დღეს ესეს დავწერთ?“ გავითვალისწინე ისიც, რომ VI-VII კლასის მოსწავლეებში თავს იჩენს ეგოცენტრიზმი, რომელიც ხასიათდება საკუთარი უნიკალურობის შეგრძნებით, სურვილით, რომ თვალში საცემნი იყვნენ. მათთვის მნიშვნელოვანია სოციალური სტატუსი, თანატოლების მოწონება, დამოკიდებულებები. სოციალურ ქსელში ნამუშევრების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა, დადებითი კომენტარები დაეხმარა მათ თვითშეფასების ამაღლებაში. წარმატების განცდა თავისთავად იქცა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად. შემდგომ ეტაპზე facebook-ზე შევქმენი დახურული ჯგუფი „ნორჩი ესეისტები“ (https://www.facebook.com/search/top/?) და გავაწევრიანე ყველა ის მოსწავლე, რომლებსაც ვასწავლი. ისინი უკვე დამოუკიდებლად აქვეყნებენ და ეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს. ასე ყველა მოსწავლეს მიეცა თვითრეალიზაციის საშუალება. შეირჩა 66 საუკეთესო ესე და გამოვუშვით ლიტერატურული ალმანახის პირველი ნომერი.




ჩავატარეთ კონკურსი „ნორჩი ესეისტი“ და გამოვავლინეთ ხუთი გამარჯვებული: მაგდა კომლაძე, ანი დოჭვირი, გიგი ბერაძე, გიორგი ფირცხალაიშვილი და დარინა მაკარაძე.



ვფიქრობ, ეფექტურ სასწავლო საშუალებათა გამოყენებამ, მოსწავლე-მასწავლებელს შორის კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბებამ, უკუკავშირის ხარისხის ამაღლებამ, გართობით სწავლამ შედეგი გამოიღო:

• მოსწავლეებს გაუღვივდათ შემეცნებითი ინტერესი, აუმაღლდათ მოტივაცია, შეძლეს გრამატიკული მოვლენების ახსნა, გრამატიკული ცნებების გააზრება, რამაც ხელი შეუწყო და დააჩქარა მართლწერის უნარების შეძენა-განვითარება; გამოავლინეს და განივითარეს ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარები, დაეუფლნენ აზრებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის ენობრივ-სტილისტურ საშუალებებს, „შავი“ ხელნაწერის გასწორება-რედაქტირების, აზრის წერილობით ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს, მართლწერისა და პუნქტუაციის სავალდებულო ნორმებს.

**რუსუდან ნადარეიშვილი**
*ბათუმის №9 საჯარო სკოლა*

*გამოყენებული ლიტერატურა:*

*1. მარიამ გოდუაძე – წერის სათავეებთან;*
*2. ნინო გორგაძე, ია ბრეგვაძე, დიანა ყიფშიძე – წერის უნარების განვითარების ხელშემწყობი თანამედროვე სტრატეგიები ქ. თბილისისა და წალკის მუნიციპალიტეტის სკოლების მე-5 კლასების მაგალითზე;*
*3. ვერიკო ხელისუფალი – პრაქტიკული კვლევა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის;*
*4. ვიოლეტა კვირიკაშვილი – წერითი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში, http://mastsavlebeli.ge/?p=1437;*
*5. თინათინ სახელაშვილი – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს თხზულების წერა, http://mastsavlebeli.ge/?p=3568;*
*6. ლეილა ხონელიძე – ლექსიკური ყულაბის გასამდიდრებლად, http://mastsavlebeli.ge/?p=13673;*
*7. მადონა ფარეხელაშვილი – როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს წერის უნარ-ჩვევები, http://mastsavlebeli.ge/?p=9588;*
*8. მაია ინასარიძე – როგორ ვასწავლოთ წერა, http://mastsavlebeli.ge/?p=2262;*
*9. ლია კაჭარავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი – აკადემიური წერა დამწყებთათვის, http//dspace.gela.org.gebitstream1234567891004akademiuri%20wera.pdf;*
*10. მაია ფირჩხაძე – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეს ნაწარმოების მიმოხილვის წერა, http://mastsavlebeli.ge/?p=9881;*
*11. ქეთევან აფთარაშვილი – ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენა წერითი მეტყველების კულტურაზე, https://www.google.ge/search;*
*12. მარიკა ოძელი, კახა გაბუნია, ვლადიმერ კიკილაშვილი – ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა.*

## ჩანახატი

# კედლები ჩურჩულებენ...




ოდესღაც ლამაზად მორთულ და აუდიტორიით სავსე ოთახებს დანგრეული და დაბეჩავებული კედლებიღა შემორჩა... კედლებს, რომელთაც ახსოვთ თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია. ამ კედლებში დუღდა სიცოცხლე, ახალგაზდების ჟრიამული აყრუებდა იქაურობას, ონავარი, ცელქი ყმაწვილები ზოგჯერ ტკივილსაც კი აყენებდნენ, მაგრამ ისინი დუმდნენ... ერთმანეთს შესჩივლებდნენ და ამით კმაყოფილდებოდნენ. დიახ, ასე იყო წინათ! ნეტავ იმ დროს – ფიქრობდნენ კედლები. დაბრუნდება კი ის დრო...

უცებ სამარისებური დუმილი დაირღვა, შორიდან რაღაც ხმა გაისმა, ხმა ძლიერდებოდა და უახლოვდებოდა იქაურობას, კაცის ხმა გამოიკვეთა, მას ორი ქალბატონის ხმაც შეუერთდა და კედლებმა ყურები ცქვიტეს. კაცის ხმა მკვეთრი და გამჭოლი იყო.

– აქ სკოლა დაარსდება!

– ძალიან დიდი შრომა იქნება საჭირო, რათა ეს განხორციელდეს!

– ჩვენ სიძნელეების არ გვეშინია, იმდენი რამ გადავიტანეთ... მშენებლობა და აღდგენა მასთან რა მოსატანია?!

ქალბატონებიც დაეთანხმნენ და იმედიანად წარმოთქვეს:

– ჩვენ გავუმკლავდებით!

მერე ისევ სიჩუმემ დაისადგურა. კედლები გამოცოცხლდნენ, ბაასი დაიწყეს... კი მაგრამ ესენი რისი გამკეთებლები არიან, საკუთარი სახლიც კი არ გააჩნიათ, ესენი რას აღადგენენ? – ჩურჩულებდნენ კედლები. ზოგი კი ფიქრობდა – რატომაც არა! ჭირნახულ ადამიანს მეტის გაკეთება შეუძლია, მასში მეტი მუხტია აღორძინებისა და აღდგენისა! ზოგმა კი ეს საუბარი არაფრად ჩააგდო... ბევრჯერ მოსულან, უნახავთ, დაუგეგმავთ და მერე საპნის ბუშტივით გამქრალან. ესენიც ასე მოიქცევიან...

ერთ კვირაში გაისმა საქმიანი ხმაური, დაიწყო კედლების აღდგენა და საკლასო ოთახების შეკეთება, მუშაობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა და სულ რამდენიმე დღეში დაიწყო სკოლამ ფუნქციონირება. ამაყად იდგნენ ის კედლები, რომელთაც სწამდათ, რომ სულ მალე კვლავ დაბრუნდებოდა ძველი სანატრელი დრო. გაიხარეს, რადგან, კვლავ გაიგეს ბავშვების ჟრიამული.

ნელ-ნელა სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა და დევნილ მოსწავლეებს მიეცათ მათვის მეტად ხელსაყრელ ადგილას სკოლაში სიარულის შესაძლებლობა. ეს წამალივით საჭირო იყო, რადგან დაბეჩავებულ და განადგურებულ ოჯახებში ნაპერწკალი გაჩენილიყო, იმედის ნაპერწკალი და ბავშვები, იმ მეტად მძიმე სტრესული მდგომარეობიდან გამოსულიყვნენ.

დრო მართლაც ყველაფრის მკურნალია!

დევნილებიც შეეგუვნენ ბედს და ჩვილი ბავშვივით დაიწყეს ფეხის ადგმა. დღითი დღე მატულობდა სკოლაში წამსვლელ მოსწავლეთა რიცხვი. სკოლამ თავისი ადგილი დაიმკვიდრა და დაარსდა, როგორც აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლა. მოსწავლეებიც გამოვიდნენ მძიმე სტრესული მდგომარეობიდან, რომელიც თან ახლავს უთანასწორო ომს და ჩაებნენ სკოლის ცხოვრებაში. ყველაფერი უკეთესობისკენ მიდიოდა...

2008 წელს, სამწუხაროდ, სკოლას კვლავ მოუხდა ისტორიის გამეორება, სამაჩაბლოდან დევნილმა მოსახლეობამ მის კედლებს შეაფარა თავი. ისევ დადგა სკოლის ყოფნა-არყოფნის საკითხი! ისევ დადუმდნენ კედლები... ისევ ჩურჩულებდნენ ერთმანეთში:

– ნუთუ ამდენ შრომას და ჯაფას ასე დათმობენ... ნუთუ აქ შეწყდება მათი სუნთქვა... ისევ დევნილობა უკვე მერამდენედ...

ქვევით, პირველ სართულზე შეუდგნენ სკოლის გადატანას, უამრავი სირთულე, ისევ დანგრეულის აღდგენა, მაგრამ კედლები ამას უწინდელივით არ განიცდიდნენ, რადგან სჯეროდათ, ეს მუხლმაგარი და შრომისმოყვარე ადამიანები თავს იოლად გაართმევდნენ:

– ნუ გეშინიათ! – ჩურჩულებდნენ კედლები, სულ მალე სიცოცხლე აღდგება, ბავშვების ჟრიამულით კვლავ გავიხარებთ.

ისევ დაიწყო შენების, აღდგენის პერიოდი. დიდი თუ პატარა, ყველა ერთად მუშაობდა და შედეგმაც არ დააყოვნა – ისევ გაისმა მოსწავლეების ჟრიამული, კვლავ აღდგა ინფრასტრუქტურა, ისევ მიიწევენ წინ, ვითარდებიან, მშვენდებიან, სტანდარტებს უახლოვდებიან, ამ სკოლის შენარჩუნებასა და წინსვლაში იმ პერიოდის თუ ამჟამინდელ პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს მიუძღვით წვლილი. სწორედ აქედან გამომდინარე, ყველას ძალიან უყვარს იქაურობა და უფრთხილდებიან, როგორც მათი ცხოვრების ისტორიის ნაწილს.

სკოლამ მრავალ ქარტეხილს გაუძლო და დღემდე მოვიდა, დამკვიდრდა და ვითარდება! დიახ, ეს შესაძლებელია ერთიანობით და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით! კედლებს, ახლა, უკვე სხვა კითხვა არ ასვენებთ:

– დაბრუნება რომ იყოს? ისინი რომ წავიდნენ? მათ იქ ძველი მამა-პაპისეული კედლები ელოდებიან, რომლებიც ჩვენსავით შველას და ჟრიამულს ითხოვენ!

დუმილი ჩამოვარდა...

– მერე რა?! – გააგრძელა მეორემ, – მათ ხომ ააშენეს, აღადგინეს აქაურობა, ჩვენთან სხვა მოვა, ჟრიამული გაგრძელდება. მთავარია, მათაც გაიხარონ და ეღირსოთ თავიანთ კუთხეში დაბრუნება, ეს მათვის დიდი სიხარული იქნებ.

– ისინი ამას იმსახურებენ! – ერთხმად შესძახეს კედლებმა.

დიახ, ასე ჩურჩულებენ კედლები, ისინი გრძნობენ, განიცდიან და იმედით უყურებენ ჩვენს დაბრუნებას.

კედლები ჩურჩულებენ, ბატონებო, კედლები ჩურჩულებენ!

**ჟანა ცხომარია**
*სსიპ აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე*




## სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.




## ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი




## პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი




## ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

# მასწავლებლის ბიბლიოთეკა

### მასწავლებლის სამუშაო რვეული




4 ლარი

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული




6 ლარი

### კათედრის გამგის პორტფოლიო




6 ლარი

### მასწავლებლის კალენდარი




5.50 ლარი

### ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის




14 ლარი

### ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში




6.50 ლარი

# მოემზადეთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.




თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

# ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40₾




# ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.




სერიის ფასი 17.70 ₾

## პედაგოგთა დასახმარებლად




12 ლარი




10 ლარი

## არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის




პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

9 ლარი







ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე




ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე




თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის




თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი




საატესტატო გამოცდისთვის

ბიოლოგია
ლ. ბურდილაძე, ნ. სისარულიძე,
ქ. მაღრაძე, ლ. ნაზირიშვილი




აბიტურიენტებისთვის




საატესტატო გამოცდისთვის

ისტორია
ნ. ახვლედიანი, გ. ლორთქიფანიძე,
ნ. მურღულია




ეროვნული გამოცდისთვის




თამარ ბერიძე-ჭავჭავაძე
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)




ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ფ. ბერია




გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ხელიძე, ბ. ჭანტურია




## „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ




**ეროვნული გამოცდების სიმულაცია**
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია




19 ლარი (ერთი ცალი)

**გავიმეოროთ მათემატიკა**
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის საკითხები.

## ტესტები ქართულ ლიტერატურაში
### საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის




წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი